პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 207 (12415)
კვირა, 2 სექტემბერი, 1962 წ.
ფასი 2 კაპ.

მხარი დავუჭიროთ ნ. ზაგლადას შესანიშნავ საქმეს

სოფლის მშრომელთა ღირსების საქმე

ПРАВДА

31 აგვისტოს მოწინავე

ორმოცდასამი წლის წინათ ვ. ი. ლენინი წერდა, რომ კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება რიგითი მუშების თავდადებული, მძიმე შრომის გადამლახავი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, თვითეული ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინისა და სხვა პროდუქტების დაცვისათვის. მშრომელთა დიდი ბელადი გენიალური გამჭრიახობით ამბობდა, თუ რა სახელოვანი მომავალი ეკუთვნის მოსკოველ მუშათა — პირველ კომუნისტურ შაბათობათა მონაწილეების შეგნებულ და ნებაყოფლობით თაოსნობას.

— პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლების მხარდაჭერით კომუნიზმის ყლორტები კი არ დაჭკნება, არამედ გაიზრდება და განვითარდება სრულ კომუნიზმად.

ჩვენ ვცხოვრობთ დიდი ლენინის განჭვრეტათა განხორციელების ეპოქაში, როცა გაიშალა საყოველთაოსახალხო ბრძოლა პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ახალი პროგრამის შესრულებისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რაც შეიძლება სწრაფად შექმნისათვის. ამ ბრძოლის მსვლელობაში იქმნება კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა, ყალიბდება ახალი ადამიანი. ახლა უკვე არა ერთეულები, მოწინავე მუშათა და კოლმეურნეთა არა ცალკეული ჯგუფები, არამედ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასები იჩენენ ყოველდღიურ ზრუნვას შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საზოგადოებრივი სიმდიდრის გამრავლებისათვის.

მშრომელებს ღრმად შთაებეჭდათ შეგნებაში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები სკკპ XXII ყრილობაზე: კომუნიზმი შეიძლება ავაშენოთ მილიონების შრომით, შრომით და მხოლოდ შრომით. ისინი განუწყვეტლივ ზრდიან შრომითს ღონისძიებებს, მაღალ მოთხოვნებს უყენებენ თავიანთ თავსა და ამხანაგებს, თავიანთ პირველ მოვალეობად მიაჩნიათ გამონახონ და უფრო სრულად გამოიყენონ წარმოების რეზერვები, იყონ შეურიგებელნი ნაკლოვანებებისადმი.

წარმოების ბევრი მოწინავისა და ნოვატორის ზრუნვა ახლა სცილდება თავიანთი კოლექტივების ფარგლებს. ისინი დახმარების ხელს უწვდიან მეზობლებს, იბრძვიან, რომ ყველა, ვინც მათ გვერდით ცხოვრობს და შრომობს, კეთილსინდისიერად, პირნათლად ასრულებდეს თავის სამუშაოს, მეტ სიყვარულსა და მეცადინეობას ახმარდეს ამას, თავის ღირსებად მიაჩნდეს იყოს ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე. შემოქმედებითი თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყოველდღიური ნორმა ხდება. ამას მკაფიოდ მოწმობს სოციალისტური შრომის გმირის ნადეჟდა გრიგოლის ასულ ზაგლადას გამოსვლა „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას!“, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა პრესაში.

ვინ არის ნ. გ. ზაგლადა? ეს არის რიგითი მშრომელი, ჟიტომირის ოლქის ჩერნიახოვის რაიონის არტელ „პირველი მაისის“ წევრი. ზაგლადა 69 წლისაა და მეთაურობს რგოლს, დაუცხრომლად მუშაობს მინდორში, მოჰყავს სიმინდის, სელის, შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი. მისი რგოლი და კოლმეურნეობა ყოველ წელს ზრდიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას, ამცირებენ მის თვითღირებულებას. მაგრამ საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანისათვის დღეს ეს საკმარისი არ არის. იგი აზროვნებს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, მას აქვს საერთო საქმისათვის, არა მარტო კოლმეურნეობის, არამედ აგრეთვე რაიონის, ოლქის, რესპუბლიკის, მთელი ჩვენი ქვეყნის საქმეებისათვის პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა. ამ კეთილშობილურმა გრძნობამ უკარნახა მას წასულიყო გორკის სახელობის ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში, დახმარებოდა მას შრომის ორგანიზაციის უკეთ დაყენებაში, გამოიწვია სურვილი თავისი დაკვირვებანი და ფიქრები გაეზიარებინა მილიონობით ადამიანისათვის.

ნ. გ. ზაგლადას გამოსვლამ უაღრესად ფართო გამოხმაურება ჰპოვა სოფლის მშრომელთა შორის. იგი გახდა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის ბევრი სამხარეო, საოლქო, რაიონული კომიტეტის, ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა კრებების განხილვის საგანი. უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ წარჩინებული მერგოლურის გამოსვლას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, მასში აღძრულია ისეთი აქტუალური საკითხები როგორიც არის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, მარცვლეულის, ხორცის, რძის, კარაქისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეზერვებისა და შესაძლებლობათა სრული გამოყენებისათვის სოფლის თვითეული მშრომელის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლება.

მოწინავე კოლმეურნე, რომელიც პატიოსნად მუშაობს მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ, კანონიერად აღელვა იმან, რომ სოფლად ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც სხვისი შემყურეობის განწყობილებით ეკიდებიან ხალხის ზრუნვას სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, უდიდეს დახმარებას, რომელსაც პარტია და საბჭოთა სახელმწიფო უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

პატიოსნებას შრომაში, ნამდვილ ზრუნვას წარმოებაში, მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე შემუშავებული ღონისძიებების შესრულებისათვის, — აი რას მოითხოვს საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანი თვითეული კოლმეურნისაგან, საბჭოთა მეურნეობის მუშისაგან, სპეციალისტისაგან, ხელმძღვანელისაგან. ამ მოთხოვნას იზიარებს, მხურვალედ უჭერს მხარს მინდვრის ყველა მშრომელი, რომლებიც ზრუნავენ საზოგადოებრივი მეურნეობისათვის, მიაჩნიათ იგი პირადი კეთილდღეობის მთავარ წყაროდ, ვისთვისაც ძვირფასია მშვენიერი საბჭოთა მიწა, ძვირფასია შრომითი ღირსება.

მრავალ გამოხმაურებაში, რაც ნ. გ. ზაგლადას გამოსვლის გამო მოდის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, ჯეროვან პატივს სცემენ იმათ, ვინც არ იშურებს ძალღონეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ბრძოლაში, ერთსულოვნად გამოთქვამენ აზრს, რომ საჭიროა შეიქმნას შეურიგებელი დამოკიდებულების ვითარება წამგლეჯების, ზარმაცების, დაუდევარი ადამიანებისადმი, რომლებიც ცდილობენ სხვის ხარჯზე იცხოვრონ.

ადამიანები, რომლებიც შრომას და საზოგადოებრივ საკუთრებას დაუდევრად და გულგრილად ეკიდებიან და პირად ინტერესებს კოლმეურნეობის ინტერესებზე უფრო მაღლა აყენებენ, — ნათქვამია მინსკის ოლქის კოპილის რაიონის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა კრების გადაწყვეტილებაში, რომელმაც ნ. გ. ზაგლადას სტატია განიხილა, — საყოველთაო დაგმობის ღირსი არიან და უნდა ეკისრებოდეთ მორალური პასუხისმგებლობა კოლმეურნეობის წინაშე.

პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების, საწარმოო სამმართველოთა პარტორგების, პარტიის რაიკომების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების, სასოფლო აგიტკოლექტივების, პროპაგანდისტებისა და ლექტორების მოვალეობაა სოფლის ყველა მშრომელს გააცნონ ნ. გ. ზაგლადას გამოსვლის შინაარსი, ფართოდ გამოიყენონ იგი თავიანთ ორგანიზატორულ და აღმზრდელობით მუშაობაში, აამაღლონ კოლმეურნეთა საწარმოო აქტივობა, რათა მოსავლის აღების, საშემოდგომო კულტურების თესვის, პირუტყვის მოვლის ყველა სამუშაოს კეთილსინდისიერად და დროზე ასრულებდეს სოფლის თვითეული მშრომელი. ახლა არ არის უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე ის, რომ მინდვრებში ავიღოთ ყველაფრის მოსავალი, რაც მოყვანილია მილიონების შეუპოვარი შრომით, გავუფრთხილდეთ ყოველ კილოგრამ პურს, შევქმნათ მომავალი მოსავლის საფუძველი, უზრუნველვყოთ პირუტყვის მაძღრად გამოზამთრება, შევასრულოთ ჩვენი ვალდებულებანი ხალხის წინაშე.

ქმნიან რა პატივისცემის ვითარებას მოწინავე კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა გარშემო, პარტიულმა ორგანიზაციებმა, სოფლის ყველა კომუნისტმა, აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა თვალი არ უნდა აარიდონ მუშაობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების, წუნმკეთებლობის, წამგლეჯობის, სოციალისტური საკუთრების დატაცების ფაქტებს.

სოფლის მშრომელთა ღირსების საქმეა რაც შეიძლება მალე განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილება, მიაღწიონ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა მრეწველობის მხარდამხარ ვითარდებოდეს, უზრუნველყოფდეს ხალხის საჭიროებებს კვების პროდუქტებზე. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ, რომ ისინი სწორად აწესრიგებდნენ შრომას, უკეთ იყენებდნენ მოწინავე გამოცდილებას და მეცნიერების მიღწევებს, უფრო ინტენსიურად იყენებდნენ მიწას, მანქანებს, ყოველდღიურად ზრდიდნენ ადამიანებს კომუნისტური შეგნებულობის, შრომისადმი სიყვარულისა და პატივისცემის, მინდობილი საქმის პირნათლად შესრულების სულისკვეთებით, ეწეოდნენ მტკიცე ბრძოლას იმათ წინააღმდეგ, ვინც არ შრომობს.

გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელთა ღირსებას! დაე წარჩინებული კოლმეურნის ეს მხურვალე მოწოდება სულსა და გულში ჩასწვდეს საბჭოთა ქვეყნის თვითეულ მშრომელს, გამოიწვიოს მისი დიდი სიამაყე კომუნიზმის მშენებლის მაღალი წოდებით და კიდევ უფრო აამაღლოს საერთო-სახალხო საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

ნადეჟდა ზაგლადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ზაგლადას წერილი საქართველოს სოფლის მშრომელებს

ჩემს ქართველ თანამოსაქმეებს

ძვირფასო მეგობრებო,
საქართველოს სოფლის მშრომელებო,

მე მახარებს, რომ თქვენ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად წარმატებით შრომობთ. წარმატების საწინდარია შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, მაღალი შეგნებულობა, გარჯა.

მაგრამ მოპოებულს ვერ დავჯერდებით. მე 69 წლის ქალი ვარ და ვცდილობ არ ჩამოვრჩე არავის, არც ახალგაზრდებს. იმიტომ კი არ ვმუშაობ, რომ გაჭირვებით ვცხოვრობ, არა, შრომა ჩემი მოთხოვნილებაა და ახლა უკმად რა გამაჩერებს, როცა ჩვენი ხალხი კომუნიზმის დიდებულ შენობას აგებს.

საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მომდის ამ დღეებში წერილები და მათ შორის საქართველოდანაც. წერილის ავტორები, ჩემი თანამოსაქმეები იწონებენ ჩემს სტატიას, რომელიც ამ დღეებში დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში“. ამ წერილებს აქვთ ერთი საერთო. ეს არის ის, რომ მისი ავტორები აყენებენ ახალ წინადადებებს. ყველა ერთხმად აცხადებს, რომ ჩვენს შორის ადგილი არ უნდა ჰქონდეთ თაღლითებს, ზარმაცებს, წამგლეჯებს.

ახლა ჩვენში, ისევე როგორც თქვენთან გულუხვი შემოდგომაა. ზამთრისათვის ვემზადებით, ჰირნახულს ვაბინავებთ. მოდით ვიშრომოთ ისე, რომ პარტიამ, სამშობლომ გვითხრას — კარგია.

ვსარგებლობ შემთხვევით და გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით ქართველ თანამოსაქმეებს, სოფლის ყველა მშრომელს გადმოგცემთ საუკეთესო სურვილებს და გისურვებთ წარმატებას შრომაში.

გახსოვდეთ, რომ შრომა და ღირსება განუყოფელია, სწორედ შრომით უნდა ავიღოთ ახალ-ახალი ზღუდეები.

ნ. ზაგლადა,
უკრაინის სსრ ჟიტომირის ოლქის ჩერნიახოვის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ნ. გ. ზაგლადას სტატიის — „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელთა ღირსებას“ შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ჟიტომირის ოლქის ჩერნიახოვის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მერგოლურის, სოციალისტური შრომის გმირის ნ. გ. ზაგლადას სტატიის — „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელთა ღირსებას!“ შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა ამ დღეებში პრესაში.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ სტატიას, რომელიც აყენებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის შემდგომი ზრდისათვის, ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის რეზერვებისა და შესაძლებლობების სრული გამოყენებისათვის სოფლის თვითეული მშრომელის პირადი პასუხისმგებლობის გადიდების აქტუალურ საკითხებს, დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდაში.

ნაკლოვანებანი, რომლებიც აღნიშნულია ნ. გ. ზაგლადას სტატიაში, არის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშიც. არ შეიძლება შეშფოთება არ გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ სოფლად ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც სხვისი შემყურეობის განწყობილებით ეკიდებიან ხალხის ზრუნვას სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, უდიდეს დახმარებას, რომელსაც პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის. ხშირია შემთხვევები, როცა მეურნეობათა ხელმძღვანელები ჩივიან, რომ არ ჰყოფნით მუშახელი, მაშინ როცა ბევრი შრომისუნარიანი კოლმეურნე მონაწილეობას არ იღებს საზოგადოებრივ შრომაში. მაგალითად, კასპის რაიონში შრომისუნარიან კოლმეურნეთა 17 პროცენტი არ გამოდის სამუშაოზე, ხოლო ბოლნისის, საგარეჯოსა და მცხეთის რაიონებში — 28-დან 32 პროცენტამდე. ასეთი ფაქტები სხვა რაიონებშიც არის.

ეს მოწმობს, უწინარეს ყოვლისა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების არასაკმაო მუშაობას მშრომელთა აღზრდისათვის შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, მოწმობს იმას, რომ სუსტად წარმოებს ბრძოლა მუქთახორებისა და ზარმაცების წინააღმდეგ, იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც პირად ინტერესებს საზოგადოების ინტერესებზე მაღლა აყენებენ. პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად იჩენენ ზრუნვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოწინავე გამოცდილებისა და ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, იმ ღონისძიებათა შესრულებისათვის, რომლებიც შემუშავებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის საფუძველზე.

რესპუბლიკური, საოლქო, სარაიონთაშორისო გაზეთები სუსტად იბრძვიან კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს შორის შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. საკმაოდ არ ავლენენ მთელ რიგ მეურნეობებში შრომისადმი დაუდევარი დამოკიდებულების, წუნმკეთებლობის, წამგლეჯობის ფაქტებს, არ ქმნიან საზოგადოებრივ აზრს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ბოროტ დამრღვევთა, უქნარათა, სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საოლქო, რაიონულ კომიტეტებს, ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების პარტორგებს, კომორგებსა და უფროსებს მოაწყონ ნ. გ. ზაგლადას გამოსვლის საქმიანი განხილვა, სოფლის მშრომელთა შორის, ფართოდ გამოიყენონ იგი თავიანთ ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობაში. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ კოლმეურნეთა საწარმოო აქტივობის ამაღლებისათვის, რათა სოფლის თითოეული მშრომელი კეთილსინდისიერად და დროზე ასრულებდეს მოსავლის აღების, საშემოდგომო ხორბლის თესვის, პირუტყვის მოვლის ყველა სამუშაოს.

საჭიროა შეიქმნას პატივისცემის ატმოსფერო მოწინავე კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების გარშემო, შეურიგებელი ბრძოლა წარმოებდეს კერძომესაკუთრეული ტენდენციების, საზოგადოებრივი შრომისადმი დაუდევარი დამოკიდებულების წინააღმდეგ, რაც ვლინდება სოფლის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, ზარმაცებისა და უსაქმურების, წუნმკეთებლების, წამგლეჯებისა და სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების წინააღმდეგ.

პარტიული ორგანიზაციები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მიაღწიონ სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების უკეთ გამოყენებას, შრომის სწორ ორგანიზაციას, გაუპიროვნების ლიკვიდაციას, მეურნეობის გონივრულად და ყაირათიანად გაძღოლას, მიწისა და ტექნიკის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის უმდიდრესი რეზერვებისა და შესაძლებლობების უფრო ინტენსიურად გამოყენებას.

რესპუბლიკური, საოლქო, სარაიონთაშორისო გაზეთების რედაქციებს რჩევა მიეცათ მოაწყონ ნ. გ. ზაგლადას გამოსვლაში აღძრული საკითხების ფართო პროპაგანდა და ღრმად გაშუქება, კონკრეტული მაგალითებით ულმობლად ამხილონ და გააკრიტიკონ ის ადამიანები, რომლებსაც არა სურთ პატიოსნად და კეთილსინდისიერად შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ, ამხილონ წუნმკეთებლობისა და მეურნეობის დაუდევარი გაძღოლის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სახალხო დოვლათის დატაცების ფაქტები. გაზეთები ყველა ღონისძიებით უნდა ეწეოდნენ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებისა და მიღწევების პოპულარიზაციას, ცოცხლად და საინტერესოდ მოუთხრობდნენ საკოლმეურნეო სოფლის საუკეთესო ადამიანებზე, აჩვენებდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პატიოსან მშრომელთა მორალურ სახეს, სისტემატურად აქვეყნებდნენ მასალებს მოწინავე გამოცდილებასა და ახალ ტექნიკაზე, იბრძოდნენ იმისათვის, რომ ისინი ფართოდ დაინერგოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში. (საკდესი).

მხურვალე მილოცვა ვიეტნამელ ხალხს

მოსკოვი, 1 სექტემბერი. (საკდესი). ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა ამხანაგებს ხო ში მინსა და ფამ ვან დონგს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა ეროვნული დღესასწაულის — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 17 წლისთავის გამო. დეპეშაში საბჭოთა ხალხის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით ისინი მხურვალედ ულოცავენ მოძმე ვიეტნამელ ხალხსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს.

ეროვნული დღესასწაულის დღეს, ნათქვამია დეპეშაში, სულით და გულით გისურვებთ თქვენ და მოძმე ვიეტნამელ ხალხს კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში, კეთილშობილურ ბრძოლაში ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მთელ მსოფლიოში.

დაე მარად ცოცხლობდეს და იმარჯვებდეს საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ურღვევი მეგობრობა!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის საპასუხო ვიზიტის შესახებ იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში

ამას წინათ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ მიიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ოფიციალურ ვიზიტად იუგოსლავიაში. მიწვევა მიღებულ იქნა მადლობით. მიღწეულია შეთანხმება, რომ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტად იქნება 1962 წლის 24 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე.

[illegible] ცნობები

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა რვა თვის გეგმა

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ ვადამდე შეასრულა მთლიანი პროდუქციისა და უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების რვა თვის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია კოქსი, თუჯი, ფოლადი, მილები, ქვანახშირი, მანგანუმის მადანი, ელექტროენერგია, ავეჯი, პირველადი გადამუშავების ჩაი, ღვინო, კონსერვები და სხვ. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობა 9 პროცენტით და მეტად გაიზარდა. შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება შესრულებულია 2 პროცენტის გადაჭარბებით.

მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა

სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1962 წლის პირველ ნახევარში საქონლის ურთიერთმიწოდების შესრულების მსვლელობის შესახებ მოლაპარაკებისა და ოქმის ხელმოწერის წარმატებით დამთავრების შემდეგ მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ლი ციანი. (საკდესი).

სასწავლებლად საბჭოთა კავშირში

ჰავანა, 1 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა გემით „ხაბაროვსკი“ ჰავანიდან საბჭოთა კავშირში სასწავლებლად გაემგზავრა 300 კუბელი ჭაბუკი. სსრ კავშირის ტექნიკურ სასწავლებლებში ერთი წლის სწავლების შემდეგ კუბელი ჭაბუკები მიიღებენ ტრაქტორისტების, კომბაინერების, მებაღეების, მებრინჯეების, მემინდვრეების სახალხო მამულებისა და კოოპერატივების ადმინისტრატორების სპეციალობებს.

ეძებენ საბაბს აგრესიისათვის

ნიუ-იორკი, 1 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ჰარი ფრიმენი იტყობინება:

ჰერსტის გაზეთები და „სკრიპს-ჰოვარდის“ ტრესტის გაზეთები განაგრძობენ წამქეზებლურ კამპანიას კუბის წინააღმდეგ.

ისინი ცდილობენ იპოვონ საბაბი კუბის წინააღმდეგ ახალი ინტერვენციისათვის. ამ მიზნით ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირმა შექმნა იქ სამხედრო ბაზა.

მაგალითად, გაზეთი „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანი“, რომელიც „სკრიპს-ჰოვარდის“ ტრესტს ეკუთვნის, აშინებს მკითხველებს რაღაც „მზარდი საფრთხით“, და მოითხოვს „ან ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ფარგლებში, ან მის ფარგლებს გარეთ შეიქმნას კარიბის თავდაცვითი სისტემა ლათინური ამერიკის ისეთი ქვეყნების შემადგენლობით, რომლებიც მზად არიან ნებაყოფლობით მოსპონ, იბრძოლონ, როგორც კი შეეცდებიან რომელიმე მათგანი“.

ასეთი განცხადება აშკარად განკუთვნილია იმისათვის, რომ გზა გაეკაფოს პირდაპირ სამხედრო თავდასხმას კუბაზე იმ საბაბით, რომ კუბა „ემუქრება“ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებს.

ამავე დროს „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანი“ ბეჭდავს რეაქციული მკლაბნელის ვინმე ჰენრი ტეილორის სტატიას, იგი გმირებს უწოდებს კონტრრევოლუციონერებს, რომლებმაც ყუმბარები დაუშინეს ჰავანის სასტუმროს, სადაც ქალები და ბავშვები იყვნენ. ტეილორი მოითხოვს კიდევ უფრო „გადამწყვეტ ღონისძიებებს“. ჰერსტის გაზეთი „ნიუ-იორკ ჟორნელ-ამერიკენი“ მეხიკოდან იუწყება, რომ კუბელი კონტრრევოლუციონერები ცდილობენ შექმნან „მთავრობა ემიგრაციაში“ და ახლა ცდილობენ მიაღწიონ პრეზიდენტ კენედის სანქციას ასეთი ნაბიჯისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ი. თ. ჟორდანიას ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ი. თ. ჟორდანიას სახელი მიაკუთვნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს.

პროფესორ ი. თ. ჟორდანიას დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელთა ღირსებას!

ამბობს ნადეჟდა გრიგოლის ასული ზაგლადა—

ჟიტომირის ოლქის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ 69 წლის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი

ნ. გ. ზაგლადა და მისი შვილი ვასილი არჩევენ სოფლის მეურნეობის მშრომელებისაგან მიღებულ წერილებს.
ფოტო პ. ბოიკოსი (საკდესი).

ჟიტომირის ოლქის ჩერნიახოვის რაიონის კოლმეურნეობა „პირველ მაისში“ ცხოვრობს და შრომობს მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი უხუცესი მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი ნადეჟდა გრიგოლის ასული ზაგლადა. იგი სიმინდის, სელის, შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის დიდი ოსტატია, კომუნიზმის ნამდვილი მშენებელია. გაზეთ „პრავდა უკრაინიში“ გამოქვეყნდა ნ. გ. ზაგლადას გამოსვლა. წარჩინებული უკრაინელი კოლმეურნე ლაპარაკობს მინდვრის მშრომელის მაღალ ღირსებაზე, მის მოვალეობაზე სოციალისტური სამშობლოს წინაშე. იგი კონკრეტული მაგალითებითა და ფაქტებით გვიჩვენებს ცალკეულ მეურნეობათა მუშაობის ნაკლოვანებებს, აყენებს საერთო საქმისათვის, თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაობისათვის სოფლის მშრომელთა პასუხისმგებლობის გადიდების დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

„პრავდის“ რედაქცია დღევანდელ ნომერში ბეჭდავს ნ. გ. ზაგლადას სტატიას, რომელიც გამოქვეყნებულია „პრავდა უკრაინიში“, და იწვევს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სპეციალისტებსა და საწარმოო სამმართველოთა ხელმძღვანელებს, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოთქვან აზრი ამ სტატიაში აღძრულ საჭირბოროტო საკითხებზე.

არ მავიწყდება „პრავდა უკრაინის“ ერთი სტატია, იგი ჩემმა შვილმა ვასილმა წამიკითხა. სტატიაში წერდნენ დნეპროპეტროვსკის ოლქის მექანიზატორთა ბრიგადირზე, კომუნისტ ტიმოთე ანდრიას-ძე შევჩენკოზე. სტატიას „მინდვრის მშრომელის სინდისი“ ეწოდებოდა.

თითქოს არაფერი იყო განსაკუთრებული, გმირული. მისგან მოითხოვდნენ პირველი და მეორე კულტივაციის დამთავრებისთანავე დაეთესა სიმინდი შარშანდელ ნამზესუმზირალ ფართობზე. იგი კი ასე არ მოიქცა. მას ესმოდა: ასეთი თესვის დროს პატაკის მიცემა, რა თქმა უნდა, მალე შეიძლებოდა, მაგრამ მზესუმზირა დაჩაგრავს სიმინდს — და მშვიდობით მოსავალო. ბევრს ეჩიჩინებოდნენ, მაგრამ მან თავისი გაიტანა: აწარმოებდა მინდვრის კულტივაციას რამდენჯერმე, იმის კვალობაზე, თუ როგორ ჩნდებოდა მზესუმზირის ყლორტები. ამ ყლორტებს რომ გაუსწორდა, უკვე შემდეგ დათესა სიმინდი. „დედოფლის“ კარგი მოსავალი მწიფდება მის ყანაში. მეზობლებმა კი, რომლებიც ბრმად ასრულებდნენ უგუნურ ბრძანებას, მალე გადახნეს თავიანთი სიმინდი.

მაგონდება ეს შემთხვევა და ვფიქრობ: რამდენად უკეთ იქნებოდა ბევრ მეურნეობაში საქმე, ყველა რომ ყოველთვის ისე იქცეოდეს, როგორც ტიმოთე ანდრიას-ძე შევჩენკო მოიქცა, — თავიანად, საქმის ცოდნით, მტკიცე ხასიათით. და, რაც მთავარია, ყველას ისევე რომ არ აძლევდეს მოსვენებას სინდისი, ყველას რომ ისევე შესტკიოდეს გული თავისი სამუშაო უბნისა და საერთო საქმისათვის.

რისთვის ვამბობ ყოველივე ამას? იმისათვის, რომ ჩვენში გაჩნდა მეტად ბევრი სხვადასხვა მომიზეზება, რომლითაც ზოგი ვინმე ცდილობს გაამართლოს თავისი დაუდევრობა და სიზარმაცეც კი. იმოწმებენ, ვთქვათ, იმას, რომ „დირექტივა არ იყოო“. თითქოს ნამდვილ მინდვრის მშრომელს ხელით უნდა ატარებდე მინდორში და ყოველ წუთს არიგებდე, ეს გააკეთე, ამას კი ნუ გააკეთებო. აბრალებენ ერთმანეთს — ვიღაცამ ვიღაც ვერ უზრუნველყო, და იმის ნაცვლად, რომ ორივეს სასტიკად მოსთხოვონ პასუხი, ივანე აბრალებს პეტრეს, პეტრე კი ივანეს. ყველაზე ხშირად იმიზეზებენ ამინდს, ამ შემთხვევაში ღმერთის მეტს ვერავის დაადანაშაულებო. მე კი ვიტყვი, წელსაც კი, როცა მიზეზიანი და მძიმე ამინდია, ზოგიერთ კოლმეურნეობაში უფრო საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, ვიდრე ცას.

თავიდან გიამბობთ. ამ ცოტა ხნის წინათ იმავე „პრავდა უკრაინიში“ გააკრიტიკეს გორკის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ჩვენში ჟიტომირის ოლქის სოფელ კრაევშჩინაშია, წერდნენ, რომ სიმინდსა და ჭარხალს შამბნარი მოსდებია, თავმჯდომარე კორკუშკო კი უთავბოლობას იჩენს.

— რატომ მოსდებია შამბნარი? — ვეკითხებოდი ჩემს თავს. — ნუთუ მართლა უთავბოლობისაგან? კარგი, თავმჯდომარე ვერ აზროვნებს, მაგრამ იგი ხომ კოლმეურნეობაში მარტო არ არის. აგრონომი? ბრიგადირები? ბოლოს, კოლმეურნეები? ისინიც უცოდინარი არიან? არა, აქ რაღაც სხვა ამბავია.

ჩემმა შვილმა ვასილმა კი, მასწავლებელმა, თითქოს შეიცნო ჩემი ფიქრები და მითხრა:

— წადით იქ, დედა, და გულახდილად ესაუბრეთ ადამიანებს, თქვენ ხომ ვალდებულებათა შესრულების შემმოწმებელი საოლქო კომისიის თავმჯდომარე ხართ.

ჰოდა წავედი, თუმცა საქმე შინაც ბევრი მაქვს.

გაწითლდა ტრაქტორისტი ვლადიმერ ნაგორნიუკი, როცა ნადეჟდა გრიგოლის ასულმა კულტივატორის ცუდად აწყობაზე მიუთითა.
ფოტო ი. შნაიდერისა.

რა ვნახე კრაევშჩინაში?

შევხედე და მართლა სიმინდი კრაევშჩინაში გაზეთის კრიტიკის შემდეგ დაღუპვას გადაარჩინეს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ კარგი მოსავალი იქნება. ახლა დროა ნამდვილად მოჰკიდონ მას ხელი. მაგრამ როგორ კეთდება ეს აქ?

ანტონიუკის ბრიგადის ნაკვეთში იყვნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე კორკუშკოც, აგრონომი ლენა სტუპაკიც, მერგოლურები ლიდა პოლიშჩუკი, ნინო ბოგინსკაია, მათი რგოლების კოლმეურნეებიც. ამ დღეს ამინდი დილიდანვე კარგი იყო და ტრაქტორი მწკრივთაშორისებში გაუშვეს. მაგრამ რა აზრი ჰქონდა? ადამიანები თუმცა კი იქნევდნენ თოხებს, მაგრამ თითქოს არ ცდილობდნენ, ოღონდ ჩასთვლოდათ, და არა იმისათვის, რომ სიმინდის ყოველ ღეროს მოუარონ.

ვერ მოვითმინე, მივედი ერთ ქალთან:

— აბა, მომეცით თქვენი თოხი!

ავიღე, მაგრამ მძიმეა, ბლაგვი, ტარი მეტად გრძელი აქვს. განა ასეთი თოხით იმუშავებ?

— როგორ თოხნით?

— ჩვეულებრივად, — მიპასუხა. — ვთხრით კულტივატორის შემდეგ დარჩენილ სარეველებს, ეს არის და ეს.

— რატომ ამუშავებთ კულტივატორს მხოლოდ ერთი მიმართულებით?

— თვითონ ხედავთ, ნადეჟდა გრიგოლის ასულო, — კვადრატები წაგრძელებული გამოგვივიდა, — თავს იმართლებდა კორკუშკო. — გვეშინია ღეროები არ დავჭრათ.

— ეს, რა თქმა უნდა, ცუდია. მაგრამ მთელი მოსავლისათვის არ არის საშიში, თუ ამჯერად ღეროების ნაწილს დაკარგავთ კიდეც, შეიძლება არც დაკარგოთ, საჭიროა მხოლოდ სწორად გაუშვათ კულტივატორი. მოდით ვსინჯოთ, რა გამოვა.

გავუშვით ტრაქტორი მწკრივების გარდიგარდმო — არა უშავს რა მცენარეებს არ ედება. მაშასადამე, შეიძლება დამუშავება ორი მიმართულებით. არ ამუშავებენ კი. რატომ?

— არ გვქონია ასეთი ბრძანება, — მხრები აიჩეჩა ტრაქტორისტმა ვლადიმერ ნაგორნიუკმა.

აი რა უბედურება დაატყდა თავს ჭაბუკს: არ უბრძანებიათ! თითქოს საკუთარი თავი არ ებას, სინდისს აღარ შევეხები.

— კულტივატორი რომ სწორადააწყო, — ვეუბნები, ამისათვის ბრძანება გჭირდება, ბიჭო?

თვალებს ახამხამებს, ვერ გაუგია, რა მოხდა. ხელი მოვკიდე, კულტივატორთან მივიყვანე.

— შეხედე: ამ სექციაში სატეხები სწორად არის დადგმული, აქ კი მეტად მაღლაა დამაგრებული და მხოლოდ ოდნავ ფხეკს მიწას, არ აფხვიერებს. ერთი სექცია მარცხნივ არის გადაქანებული, მეორე —მარჯვნივ.

— ხომ შეამოწმეს თავმჯდომარემ და აგრონომმა, — არაფერი არ მითხრეს.

— სამწუხაროა, როგორც ჩანს, არც იმათ, არც შენ ნამდვილად არ შეგტკივათ გული მოსავლისათვის.

ტრაქტორისტი გაფხვიერების დასამთავრებლად წავიდა. იმ ნაკვეთზე კი, სადაც ჯვარედინად გაიარა კულტივატორით, მე ვუჩვენე, როგორ უნდა ბუდნების დამუშავება. დავარტყი თოხი ერთხელ, ორჯერ — სარეველები (ბევრი არ იყო დარჩენილი) მოჭრილია; კიდევ ორი-სამი დარტყმა — და აღარ არის ქერქები ღეროს გარშემო, მიწა გაფხვიერებულია. ორი მიმართულებით გაფხვიერებულ ყანაში ხელით შრომა გაცილებით ნაკლები იხარჯება, საქმე სწრაფად მიდის. აი ნამხარი ღეროზე — ნუ ზარმაცობ, დაიხარე, მოგლიჯე, მაშინ ძირითადი ბუჩქი გაიზრდება, როგორც საფუარზე. საერთოდ, ყველაფერს სულით და გულით უნდა აკეთებდე.

იქვე გვერდით ჭარხლის პლანტაციაა. იქ წავედით. ბრიგადირი, თავმჯდომარე, აგრონომი ამტკიცებენ, რომ ჭარხალი გამეჩხრებულია, მე კი განცვიფრებული ვარ: ყოველი რიგი ისე ხშირია, რომ მეტი არ შეიძლება, რამდენიმე ძირი იზრდება ერთად, „ერთმანეთს შერწყმია.“ ეს უთავბოლობაა? არა, პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს უთავბოლობა არ არის —სინდისი აკლიათ ადამიანებს გორკის სახელობის კოლმეურნეობაში, და არა გაგება ან ცოდნა. შეხედეთ საკარმიდამო ბოსტნებს, — დახატულს ჰგავს, მაშინვე ცხადი გახდება: აქ ყველაფერი იციან, ყველაფერი ესმით. შეხედე ერთი -- სინდისი ადამიანებს საკოლმეურნეო ჰექტარზე ვერ მოუტანიათ, თავიანთ ბოსტნებში ტოვებენ.

„აბა ჩვენი პური გასინჯეთ“

ეჰ, მინდვრის მშრომელის სინდისი! არავინ მოგცემს მას, და ვერავისგან ვერ მიიღებ განაწესით. რა გულუხვად გვეხმარებიან პარტია და სახელმწიფო უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ. შესანიშნავი ტექნიკით, მასალებით, სასუქებით, ფულით, ახალი ჯიშების თესლით. იქამდე, რომ ჩვენი ხალხი, მუშათა კლასი შეგნებულად დათანხმდნენ ხორცისა და კარაქის ფასების გადიდებაზე.

მე მიმაჩნია, რომ ასეთი დახმარებისა და გულითადი, ნამდვილი ძმური დამოკიდებულებისათვის მინდვრის მშრომელებმა მთელი თავიანთი ძალღონით მხურვალე და პატიოსანი შრომით უნდა უპასუხონ მუშათა კლასსა და ყველა საბჭოთა ადამიანს.

მაგრამ ჯერჯერობით, როგორც ვხედავ, ყველამ როდი შეიგნო ეს. მაგალითისათვის დავასახელებ თუნდაც ჩვენს მეზობლებს ჩერნიახოვის რაიონში. ჩვენთან ყოველ რგოლში სელი კარგად ხარობს, სიმინდი, ახალგაზრდა ტყესავით შრიალებს, ჭარხალი კარგია. გული ხარობს. აქვე გვერდით, კოლმეურნეობა „ავანგარდის“ მინდვრებში სულ სხვა სურათია. სიმინდი დამჭკნარია, ჭარხალი მიწას ვერ ასცდენია, სელი უსწორმასწოროა, ხანჭკოლა გამეჩხრებული.

შეუძლიათ გვისაყვედურონ: რას უყურებთ, რატომ თქვენს გამოცდილებას მეზობლებს არ უზიარებთ? რას იტყვი? გამოცდილება გამოცდილებაა, მაგრამ სინდისიც საჭიროა. ჩვენს რჩევას ავანგარდელები ხალისით ისმენენ, მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე მიდგება, —ყველაფერი სხვანაირად მიდის. ზოგს კარგად გააკეთებენ, ზოგი გამოეპარებათ. მაგალითად, სასუქებს ამზადებდნენ და მინდვრად გაჰქონდათ ერთსულოვნად, ისე როგორც არც ერთ წელს წინათ. თესვა მალე დაამთავრეს. აღმონაცენი ჩვენსაზე უარესი როდი იყო. მაგრამ სიმინდისა და შაქრის ჭარხლის ფარცხვა დააგვიანეს — ორგანიზებულობა არ ეყოთ. თუ რა? შემდეგ წვიმები დაიწყო, სარეველა ბალახები გაძლიერდა. აქ უნდა გამოსულიყვნენ და ყველა უკლებლივ მისეოდა სარეველებს, ემუშავნათ, არაფრად ჩაეგდოთ, რომ ზოგჯერ, შეიძლება კიდევაც გაწუწულიყვნენ წვიმაში. მაგრამ ჩვენმა მეზობლებმა უმალ საკუთარ ბოსტნებს მიაშურეს და დაუწყეს მარგვლა.

ჩვენს კოლმეურნეობაში საქმე სხვანაირად გვაქვს მოწყობილი. როგორც კი შეწყდება კოკისპირული წვიმა, ჯერ კიდევ ცრის, ამას „ღორის წვიმას“ ვეძახით, მექანიზატორები უკვე მანქანებზე სხედან და აფხვიერებენ მწკრივთაშორისებს, სადაც კი შეიძლება. ქალებიც გვერდში უდგანან თოხებით. ჩვენმა მეზობლებმა კი, მზიანი დღე რომ დაინახეს, ჩვენთან ამოირბინეს ეკლესიაში. ხუცესსაც უხარია: ჩვენები ხომ როდი მიდიან მასთან. ამასობაში სარეველა ბალახები ახშობს ნათესებს.

ზოგჯერ გესმის ადამიანებისაგან: თქვენ რა გიჭირთ, თქვენს არტელში ფულს ყოველთვის კარგად იხდიან, შრომადღეს წონა აქვს, აბა ერთი ჩვენი პური გაგვისინჯათო.

კაცმა რომ თქვას, საიდან უნდა ჰქონდეთ ისე საკმარისად ყველაფერი, როგორც ჩვენ გვაქვს, თუ კოლმეურნეთა გულმოდგინება მხოლოდ საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებს ჰყოფნის?

ახლა სინდისი თუ არა გაქვს, ვერ იცხოვრებ

აი კიდევ რა აზრები მომდის თავში, როცა სინდისზე ვფიქრობ. ყველა ჩვენგანს ახსოვს, რა უგუნურად ხელმძღვანელობდნენ კოლმეურნეობებს სტალინის დროს. უმთავრესად ცდილობდნენ, რომ ციფრები ყოფილიყო აწყობილი და არა საქმე, ტყუილის ბუშტს აყენებდნენ. იმდენი ზარალი მიაყენეს მაშინ ბევრ კოლმეურნეობას, რომ ზოგიერთი დღემდე ვერ გამართულა წელში. განა ცოტა იყო ისეთი ადამიანი, რომელიც იძულებული გახადეს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ წასულიყო! და დიდი მადლობა პარტიას იმისათვის, რომ დაუბრუნა ადამიანებს ჩვენი ლენინური სამართლიანობის რწმენა და კარგად ეხმარება კოლმეურნეებს. საწყენია მხოლოდ ის, რომ ზოგიერთ რიგით კოლმეურნეს და ხელმძღვანელს უეჭველია სწორად არ ესმის ეს ზრუნვა. მე ასე ვიტყოდი, სხვის შემყურეობას და უსინდისობას იჩენენ. სახელმწიფო და პარტია სულ ერთია გააკეთებენ, რაც საჭიროა და ყველა ჩამორჩენილ და სუსტ მეურნეობას აუცილებლად ფეხზე დააყენებენ და გაამაგრებენო. ხოლო სანამ ეს არ მომხდარა, ისეთ საქმეზე ვიმუშავებთ. რომელიც უფრო ხელსაყრელიაო.

არა, ჩვენში საქმე, რა თქმა უნდა, ასე ვერ წავა. გაიხსენეთ რა თქვა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა შრომისმოყვარე ფუტკარზე: თვითეულ ფუტკარს მიაქვს თავისი წვეთი ნექტარი საერთო სკაში. თუ ეს ნექტარი მხოლოდ „ვალის მოსახდელად“ ზიდეს — საიდანღა გაჩნდება სკაში თაფლი?

ბოლოს და ბოლოს ხომ ყველამ უნდა შეიგნოს: უშრომლად, უსინდისოდ, ახლა ვერ იცხოვრებ, ვერ აიღებ ისეთ ტემპებს, როგორიც პარტიამ დაგვეგმა. და, ჩემი აზრით, უწინარეს ყოვლისა აი რა უნდა ვქნათ — ბოლო მოვუღოთ გაუპიროვნებას და უპასუხისმგებლობას. მინახავს, როგორ მუშაობენ მარგვლაზე „ავანგარდის“ კოლმეურნეები და იმავე გორკის სახელობის არტელისა და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობის წევრები. პლანტაციაში გროვად გამოდიან. ზოგჯერ თითქმის მთელი რგოლი თავმოყრილია, მაგრამ საქმეს როდი იწყებენ — ელოდებიან ორ ან სამ დაგვიანებულს. დაიწყებენ მარგვლას — ერთმანეთს კი არ გაუსწრებენ, ეშინიათ ზედმეტი მუშაობა არ გამოუვიდეთ. ერთი რომ დაჯდება დასასვენებლად, ყველა გვერდში ამოუსხდება. ზოგი ისე მარგლის, რომ ბალახს არ გააჭაჭანებს, ყოველ ღეროს შემოუვლის, ნამხარს არ გამოტოვებს, ზოგმა კი ჯერი თუ მოიხადა, კმაყოფილია. კარგ მშრომელს დღის განმავლობაში შეუძლია ერთნახევარი ორი ნორმაც კი გამოიმუშაოს, მაგრამ გროვად მუშაობა ხელფეხს უბორკავს.

ჩვენ დიდი ხანია ბოლო მოვუღეთ გაუპიროვნებას. რგოლის თვითეულ წევრს მიჩენილი აქვს ერთნაირი რაოდენობის მწკრივები. ეს ნორმაა. ყველამ იცის: შენს მაგიერ სხვა არავინ არ დაამუშავებს მიჩენილ ფართობს. მხოლოდ, თუ უბედურება მოხდა, ვთქვათ, ვინმე ავად გახდა, ყველა ვირაზმებით და ყოველ ღონეს ვხმარობთ, რაც საჭიროა, მაგრამ გაკეთებულ სამუშაოს მაინც ავადმყოფს ვუწერთ.

ასეთი წესი ამაღლებს პასუხისმგებლობას, ნერგავს კეთილსინდისიერებას. თუ გინდა, რომ შენს ბოსტანში სარეველები არ იზრდებოდეს, სწრაფად შეასრულე ის ნორმა, რაც რგოლმა დაგიწესა. ამიტომ ჩვენთან ყველა ჩქარობს. დილაადრიან გამოდიან თავიანთ მწკრივებში, ყველა შინაური მოჰყავთ დასახმარებლად.

მაგრამ დაე სწორად გამიგონ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმაც: უნდა შევუქმნათ ადამიანებს პირობები, რათა მათ იმუშაონ თავიანთ ბოსტნებში შრომის უმცირესი დანახარჯებით. განა ცუდია, თუ არტელი დახნავს საკარმიდამო ნაკვეთებს, დაეხმარება სათესლე მასალით, მისცემს ტრანსპორტს ბოსტნეულის, კენკრის ან ხილის ბაზარში წასაღებად? არამარტო უნდა მოვითხოვდეთ ადამიანისაგან, არამედ კიდევაც უნდა ვზრუნავდეთ მისთვის.

ჩვენთან ბრიგადირს მიცემული აქვს უფლება დაეხმაროს ბაზარში წასასვლელად იმ კოლმეურნე ქალებს, რომლებიც კეთილსინდისიერად შრომობენ, ნორმებს ასრულებენ. ჩვენს სოფელში ბევრი ბაღია და გამგეობამ მიაღწია იმას, რომ დამამზადებლები ადგილზე იბარებენ ხილს.

მუყაით მშრომელებს კოლმეურნეობა ეხმარება სახლების, ჭების შეკეთებაში. ქვრივებს ახალ სახლებს ვუშენებთ. როცა ადამიანი ზრუნვას გრძნობს, სინდისიც უფრო მგრძნობიარე უხდება.

ახლა სოკოსა და კენკრის კრეფის დროა. ხშირად გაიგონებ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისაგან: გულღვიძლში გაგვიჯდა ეს წყეული სოკო და კენკრა, როგორც კი ირიჟრაჟა — ნახევარი სოფელი უკვე ტყეშიაო. კარგია ეს თუ ცუდი? ჩემი აზრით, ის, რომ ადამიანები დოვლათს არ კარგავენ, ძალიან კარგია. ცუდია ის, რომ ეს არაორგანიზებულად ხდება, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარენი არ გამოჰყოფენ მანქანებს ან საზიდრებს სოკოსა და კენკრის მკრეფავთათვის და ტყის სიმდიდრით ცრუ კოლმეურნეები სარგებლობენ. კარგი იქნებოდა ისეთი წესის შემოღება, რომ სოკოსა და კენკრის კრეფის, კოლმეურნეობის ტრანსპორტის გამოყენების უფლება ჰქონოდათ მხოლოდ იმათ, ვინც კარგად მუშაობს თავის რგოლში. მაშინ ტყის დოვლათი არ დაიკარგებოდა. დამზადებით აღებულ ფულს სპეკულანტი კი ვერ ჩაიჯიბავდა, არამედ არტელის პატიოსანი მშრომელი მიიღებდა.

ნუ აწყენინებთ პოლესიეს მიწას

ძალიან მინდა, რომ ყველამ, ვინც ამ ჩემს ნაამბობს წაიკითხავს, თავის თავს შეხედოს გარედან, მოეთათბიროს თავის სინდისს: როგორ იცხოვრონ და იმუშაონ მომავალში, რათა არ შერცხვეს ხალხის წინაშე, ჩვენი პარტიის წინაშე, ბავშვებისა და საკუთრივ თავის თავის წინაშე? ახლანდელი წელი სოფლის მეურნეობაში რთულია. განა ყველაფერი გააკეთე, რომ შენს კოლმეურნეობაში სიძნელეები დაძლეულ იქნას, რომ ჩვენი საბჭოთა სკა აღივსოს სიუხვის თაფლით?

ხშირად გაიგონებ, პოლესიეს მიწები მწირიაო, რომ აქ, რაც უნდა ეცადო, კარგი ამინდის პირობებშიც კი, ხეირი მაინც ცოტა გამოვაო. ეს ასე როდია. ჩვენს მიწას, თუ კი გულისხმიერად დაამუშავებ, შეუძლია სასწაულები მოახდინოს.

განა არ შეგვიძლია მაგალითი ავიღოთ ვინმესგან? არა, კარგი მშრომელებით ჩვენი მხარე ღარიბი როდია. ისინი ყველგან არიან, თვითეულ კოლმეურნეობაში.

შრომის ნამდვილი გმირები მისცა ჩვენს სამშობლოს ჟიტომირის ოლქმა. ესენი არიან — მართა საბას ასული ხუდოლი, რომელმაც მსოფლიო განაცვიფრა კარტოფილის უმაგალითო მოსავლიანობით; ანა საბას ასული ოლადკო. რომელსაც ყოველი კულტურა ისეთ მოსავალს აძლევს, როგორიც პოლტავის ოლქის ნაყოფიერ მიწაზეც არ ახსოვთ; საპატიო მერგოლური მარიან ანტონის ასული მარცუნი, რომელსაც მეჭარხლეობაში სარეკორდო მიღწევებისათვის მეორე ოქროს ვარსკვლავი გადაეცა; საუკეთესო მესელეები ეფროსინე არქიპის ასული საუხი, მათე ივანეს-ძე ვერნიგორა, პოლესიეს გიტალოვი — ალექსანდრე მათეს-ძე კოვალი.

აიღეთ იგივე „ავანგარდი“. კარგის მეტს რას იტყვი მერგოლურ ანტონინა ზაბორჩუკზე? მისი სიმინდი ჩემს სიმინდზე ცუდი როდია — სამჯერ გათოხნა, ორჯერ სასუქი შეიტანა.

აი მე 69 წლისა ვარ, მაგრამ მაინც ვცდილობ არ ჩამოვრჩე ახალგაზრდებს, გულხელდაკრეფილი როდი ვარ. და არა იმიტომ, რომ ჩემს ოჯახს დოვლათი აკლია — შემეძლო არხეინად მეცხოვრა, დამესვენა, შვილიშვილებში გამეხარა, მაგრამ დრო ასეთი როდია, ამხანაგებო.

ყველა ოდინდელი მხვნელ-მთესველი, კომუნისტური დოვლათის შემოქმედი უაღრესად დაინტერესებულია, რომ საკოლმეურნეო უკრაინა უფრო სწრაფად მიდიოდეს აღმავლობის გზით, რომ მან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულობანი პურის დარგშიც, ხორცის დარგშიც, რძის დარგშიც, შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების დარგშიც, და მომდევნო წლისთვისაც კარგი მარაგნამეტი ექნეს. ამას კი ვერ მიაღწევ, თუ მთელი ძალით არ იმუშავე.

მაშ ნუ შევარცხვენთ ჩვენს ღირსებას — მხვნელ-მთესველის ღირსებას!

„პრავდა უკრაინი“, № 176.

ნადეჟდა გრიგოლის ასულ ზაგლადას ფოსტა

საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის უკრაინის ამ პატარა სოფელში უბრალო, გულშიჩამწვდომი წერილები და ღია ბარათი. მხურვალედ, სულით და გულით უძღვნიან მადლობას შრომის ადამიანები ნადეჟდა გრიგოლის ასულ ზაგლადას მისი გულითადი სიტყვებისათვის მინდვრის მშრომელის ღირსებაზე, უზიარებენ თავიანთ აზრებსა და ფიქრებს.

„ჩვენ გვინდა ისეთები ვიყოთ, როგორიც თქვენ ხართ, ნადეჟდა გრიგოლის ასულო, — სწერენ ბავშვები.— ვიცით, რომ დრო ცოტა გაქვთ, მაგრამ გთხოვთ მოგვწეროთ თქვენს ბავშვობაზე, იმაზე, თუ როგორ მუშაობთ და ცხოვრობთ. ჩვენ ეს გვჭირდება, ძალიან გვჭირდება“.

— აბა რას იზამ, — ჩაფიქრებული ამბობს ნადეჟდა გრიგოლის ასული, — უნდა უპასუხო ასეთ წერილებს, უთუოდ უპასუხო....

დიდხანს და ყურადღებით ისმენს ნადეჟდა გრიგოლის ასული ა. დ. მასლიაევას წერილს ნიკოლაევის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ნერაიანსკიდან“. მღელვარებით და გულისტკივილით წერს მასლიაევა უწესრიგობასა და უმსგავსოებაზე თავის საბჭოთა მეურნეობაში, აგრონომებზე, რომლებიც საქმეს არ აკვირდებიან, ცუდად უწყობენ ხელს მოსავლის მოყვანას და მხოლოდ თავიანთ პირად საქმეებზე ფიქრობენ.

ნადეჟდა გრიგოლის ასულმა ეს წერილი პასუხის გასაცემად გადადო, ხელში აიღო პატარა ლურჯი კონვერტი, და კვლავ ღიმილმა გაუბრწყინა სახე.

„ძვირფასო ნადეჟდა გრიგოლის ასულო, — სწერს მოსკოველი მასწავლებელი ვ. შანტაევი. — დიდი, უდიდესი მადლობა თქვენი სტატიისათვის. სიამოვნებით წავიკითხე. რა მართლად და უბრალოდ წერთ. ნამდვილი კომუნისტი ხართ. გაზეთ „პრავდას“, რომელშიც დაბეჭდილია თქვენი სტატია, შევინახავ და ჩემს მოწაფეებს ვუამბობ ამ სტატიის შესახებ“.

ბევრი საქმე და საზრუნავი აქვს სოციალისტური შრომის გმირს კომუნისტ ნადეჟდა გრიგოლის ასულ ზაგლადას. საღამოობით, როცა ქოხებში სინათლე აინთება, ნადეჟდა გრიგოლის ასული მაგიდას მიუჯდება. გულმოდგინედ სწერს პასუხს იმათაც, ვინც მთელი ძალღონით შრომობს, და იმათაც, ვინც მინდვრის მშრომელის ღირსებას არ უფრთხილდება და იოლ ცხოვრებას ეძებს. ასეთებს ზაგლადა ულმობლად ტუქსავს თავის წერილებში.

— შრომა და ღირსება განუყრელია, — ამბობს წარჩინებული მერგოლური, — ყოველი საბჭოთა ადამიანი პატიოსნად უნდა მუშაობდეს, თავისი წვლილი შეჰქონდეს საერთო დოვლათში. დაუცხრომელი შრომით აშენებდეს კომუნიზმს.

სოციალიზმის ნათელი გზით

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 17 წლისთავი

1945 წლის 2 სექტემბერს თავისუფლების მზე ამობრწყინდა ვიეტნამის კამკამა ცაზე. აქ სამუდამოდ დაემხო საფრანგეთის კოლონიალიზმის საძულველი უღელი და ვიეტნამი გამოცხადდა დემოკრატიულ რესპუბლიკად.

ხალხი, რომელიც პირველად ეზიარა თავისუფლებას, მაშინვე შეუდგა მშვიდობიანი ცხოვრების მშენებლობას, დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელებას. მაგრამ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დაბადებამ იმპერიალისტური რეაქციის მძვინვარე სიძულვილი გამოიწვია. ფრანგმა ინტერვენტებმა, რომლებსაც მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა წრეებმა, მალე სისხლმღვრელი ომი გააჩაღეს ინდოჩინეთში, ცდილობდნენ აღედგინათ ძველი კოლონიური წესები.

ინდოჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ, ვიეტნამელი ხალხის ბელადმა ხო ში მინმა ყველა პროგრესულ ორგანიზაციას, მთელ ხალხს მიმართეს მოწოდებით დარაზმულიყო დემოკრატიულ მონაპოვართა, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. იმპერიალისტურ დამპყრობელთა გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ მძიმე და შეუპოვარ ბრძოლაში ვიეტნამელმა პატრიოტებმა დაიცვეს უკეთესი ცხოვრების მოპოვების უფლება.

1954 წლის ივლისში, დიენ ბიენ ფუსთან ფრანგი ინტერვენტების განადგურების ცოტა ხნის შემდეგ, ხელმოწერილ იქნა ჟენევის შეთანხმებანი, რომლებმაც აღადგინა მშვიდობა ინდოჩინეთში. ჩრდილოეთ ვიეტნამის მშრომელებმა როგორც იქნა მოიპოვეს შესაძლებლობა დაბრუნებოდნენ მშვიდობიან შრომას.

მაგრამ ქვეყანა ნანგრევებში იყო. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ამ მძიმე დროს მას დახმარების ხელი გაუწოდეს მძლავრი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა. უმაგალითოდ მოკლე ვადაში — სამ წელიწადში ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სოციალიზმის ქვეყნების ძმური დახმარების მეოხებით მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები, აღადგინა ეკონომიკა. აღდგენითი პერიოდის დამთავრების შემდეგ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, დაწყებული 1958 წლიდან, შეუდგა ეკონომიკასა და კულტურაში ძირეულ სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებას, ქვეყნის განვითარებას პირველი სამწლიანი გეგმის საფუძველზე.

ახალმა წარმოებითმა ურთიერთობამ უზრუნველყო პირობები მძლავრი საწარმოო ძალების განვითარებისათვის. რესპუბლიკაში შეიქმნა ისეთი ეროვნული მრეწველობა, რომლის მსგავსზე ოცნებაც არ შეიძლებოდა ფრანგების კოლონიური რეჟიმის დროს. ახლა ჩრდილოეთ ვიეტნამში შექმნილია მძიმე მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა და სხვ. თუ 1955 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენდა 58 მილიონ კილოვატ-საათს, 1961 წლისათვის მან შეადგინა 276 მილიონი კილოვატ-საათი, ცემენტის წარმოება გაიზარდა 8,5 ათასი ტონიდან 452,6 ათას ტონამდე, ქვანახშირისა — 641 ათასი ტონიდან 2 მილიონ 811 ათას ტონამდე.

ძირეულად შეიცვალა ჩრდილოეთ ვიეტნამის სოფელი. ვიეტნამელი გლეხი, რომელიც მიწის პატრონი გახდა, ახალი ცხოვრების ფართო გზაზე გამოვიდა. ამჟამად წვრილ გლეხურ მეურნეობათა 89 პროცენტი გაერთიანებულია კოოპერატივებში. ყოველწლიურად იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

სოციალისტური გარდაქმნების შედეგად არსებითად შეიცვალა მოსახლეობის ცხოვრების დონე. მთელი მოზრდილი მოსახლეობა უზრუნველყოფილია სამუშაოთი. მშრომელები იღებენ სამედიცინო დახმარებას. სოფლების 80 პროცენტს საკუთარი სანიტარული პუნქტი აქვს. ამიტომ საგრძნობლად იკლო სიკვდილიანობამ.

ჩრდილოეთ ვიეტნამში წარსულს ჩაბარდა წერა-კითხვის უცოდინარობა. ქვეყანა დასერილია სკოლებით, სადაც 2,5 მილიონამდე კაცი სწავლობს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდესი წარმატებანი მშვიდობიანი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში სამშობლოს გაერთიანებისათვის საბრძოლველად აღაფრთოვანებენ მე-17 პარალელს იქით მცხოვრებ თანამემამულეებს, რომლებიც ამერიკელი ოკუპანტებისა და ნგო დინ დიემის რეაქციული ხროვის უღელქვეშ იტანჯებიან.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომელსაც ხელთ უპყრია მშვიდობისა და ეროვნული გაერთიანების დროშა, არაერთხელ წამოუყენებია სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა წინაშე კონკრეტული წინადადებანი ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით, რათა გადაწყდეს ჟენევის შეთანხმებათა საფუძველზე თავისუფალი არჩევნების მოწყობისა და ვიეტნამის გაერთიანების საკითხი. მაგრამ სამხრეთ ვიეტნამის მმართველნი, რომელნიც ამერიკის მონოპოლიების კარნახით მოქმედებენ, ყოველთვის უარყოფდნენ და უარყოფენ ამ გონივრულ წინადადებას. ისინი არღვევენ ჟენევის შეთანხმებებს და ცდილობენ მუდმივი გახადონ ვიეტნამის გათიშვა, არ დაუშვან ჩრდილოეთი და სამხრეთი ვიეტნამის მოსახლეობის გაერთიანება. მაგრამ ვიეტნამელ ხალხს მტკიცედ სწამს, რომ ვიეტნამი გაერთიანდება. პატრიოტთა მხარეზეა მძლავრი სოციალისტური ბანაკი, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისი განვითარების სახელოვანი ისტორიის მეთვრამეტე წელში შედის განუხრელი მისწრაფებით — ემსახუროს სოციალიზმის საქმეს, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის საქმეს.

ახალი სახლები ჰანოის სამხრეთ განაპირა უბანში.

ფოტო ვია-საკდესისა.

„უ-2“ აჩრდილი ნორვეგიაში

ოსლო, 31 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვავილოვი იტყობინება: დიდი შეშფოთებით შეხვდა ნორვეგიის საზოგადოებრიობა ლონდონიდან მიღებულ ცნობას, რომ ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავები „უ-2“, რომლებმაც ცუდი სახელი დაიმსახურეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პაუერსის ჯაშუშური ფრენის გამო, ჩავიდნენ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ბაზაში „აპერ ჰეიფორდში“, რათა დაზვერვა აწარმოონ ჩრდილოეთ ატლანტიკის რაიონში, რომელშიც, როგორც ცნობიდან ჩანს, შედის აგრეთვე გრენლანდია და ნორვეგია.

ნორვეგიელებს კარგად ახსოვთ, რომ პაუერსის ჯაშუშური თვითმფრინავი უნდა დაშვებულიყო ნორვეგიის აეროდრომზე ბუდაში და რომ ამას ხელი შეუშალა მხოლოდ საბჭოთა რაკეტამ სვერდლოვსკის რაიონში. მაშინ აღმოჩნდა, რომ ამერიკელებმა ნორვეგიის ხელისუფლებს გადაკვრითაც კი არაფერი უთხრეს იმ შესაძლებლობაზე, რომ გამოეყენებინათ ნორვეგიის ტერიტორია დანაშაულებრივი მოქმედებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამჯერად ნორვეგიის ხელისუფლებმა კვლავ სრულიად არაფერი იციან იმის შესახებ, რომ დასახულია „უ-2-ის“ ფრენა ნორვეგიის ტერიტორიაზე. „ყველაზე უმაღლეს ინსტანციებში“ საკითხის გულდასმით შესწავლის შემდეგ მათ აღუთქვეს გაზეთ „ვერდენს განგის“ კორესპონდენტს, რომ „თვითმფრინავებმა „უ-2“ არ უნდა იფრინონ ნორვეგიის რაიონებში“. „ყოველ შემთხვევაში, ამერიკის მხრივ არაფერი ყოფილა ნათქვამი ამის შესახებ,“ — აცნობეს კორესპონდენტს.

როგორც ცნობილია, ნორვეგიის მთავრობამ პაუერსის თვითმფრინავის ეპიზოდის შემდეგ ოფიციალური პროტესტი გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, და ამერიკელებმა საქვეყნოდ აღუთქვეს ნორვეგიას, რომ არაფერი ამის მსგავსი არ მოხდება მომავალში. სინამდვილეში კი ჯაშუშური თვითმფრინავის აჩრდილი კვლავ თავს დასტრიალებს ნორვეგიის ტერიტორიას.

მდგომარეობა ალჟირში

ტუნისი, 31 აგვისტო. (საკდესი). ქალაქ ალჟირში დაძაბული მოლოდინის ვითარებაა. აქ მიღებული ცნობების თანახმად, მეოთხე სამხედრო ოლქის სარდლობის (რომელმაც უარი განაცხადა დაემორჩილოს ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტბიუროს) ჯარისკაცები პატრულობენ კასბას უბანში, სადაც ორი დღის წინათ სროლა ატყდა. ამავე დროს მცხოვრებთა ჯგუფები აწყობენ მდუმარე დემონსტრაციებს, რითაც ხაზს უსვამენ თავიანთ მისწრაფებას — თავიდან აიცილონ სამოქალაქო ომი.

მეოთხე სამხედრო ოლქის სარდლობის მიერ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჯარებმა, რომლებიც მხარს უჭერენ ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტიკურ ბიუროს, განახორციელეს შემოვლითი მანევრი და ახლა უკავიათ პოზიციები მეოთხე სამხედრო ოლქის ტერიტორიის გარშემო.

სხვა ცნობებით, მეხუთე სამხედრო ოლქის (ორანის რაიონი) მნიშვნელოვანი ძალები, რომლებმაც 29 აგვისტოს დაიწყეს წინსვლა მეოთხე სამხედრო ოლქის მიმართულებით, [illegible] სამხედრო მოსაზრებებით.

ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტიკურმა ბიურომ გუშინ საღამოს განაცხადა, რომ ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტბიუროს არც ერთ წევრს არ დაუტოვებია ქალაქი ალჟირი.

30 აგვისტოს დროებითი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბენ ბელა ორანს დაბრუნდა დასავლეთ ალჟირში ხუთი დღის მოგზაურობის შემდეგ.

ტუნისი, 31 აგვისტო. (საკდესი). ცნობებით, რომლებიც ალჟირიდან მოდის აქ, დღეს ქალაქ ალჟირში გაიმართა მრავალათასიანი დემონსტრაციები, რომელთა მიზანია სამოქალაქო ომის თავიდან აცილება.

ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტიკურმა ბიურომ გამოაქვეყნა კომუნიკე. პოლიტბიურო ხაზს უსვამს, რომ იგი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოა.

პოლიტბიურომ მიმართა აგრეთვე მე-4 სამხედრო ოლქის მებრძოლებს, და მოუწოდა მათ „მოახდინონ ამბოხებული ოფიცრებისა და მათი თანამზრახველების იზოლაცია“.

ამავე დროს, როგორც ალჟირიდან იუწყებიან, მე-4 სამხედრო ოლქის ჯარებმა დღეს დაიკავეს ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტბიუროს შენობა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

● **პარიზი,** 31 აგვისტო. (საკდესი). „ულტრების“ მეთაური ჟაკ სუსტელი პარიზში იმყოფებოდა დეგოლზე თავდასხმის წინა დღეს, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, რომელიც იმოწმებს „სანდო წრეებს“. შემდეგ ის დაბრუნდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც საინფორმაციო სააგენტოების ცნობებით, მოაწყო თავისი „მთავარი ბინა“.

● **ჰელსინკი,** 31 აგვისტო. (საკდესი). დღეს ოტანიემის (ჰელსინკის გარეუბანი) პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ოფიციალურად გაიხსნა ფინეთის პირველი ატომური რეაქტორი. ცერემონიას დაესწრო ფინეთის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი.

● **ლონდონი,** 30 აგვისტო. (საკდესი). დადის შემაშფოთებელი ხმები, რომ ანტუან გიზენგას ლუმუმბას ბედი ეწია, წერს დღეს ინგლისური ყოველკვირეული „ტრიბუნი“. კონგოს აფრიკელთა სოლიდარობის პარტიის განცხადების მიხედვით, გიზენგა უნდა „მოკლან გაქცევის ცდისას“, როცა მას გასასამართლებლად წაიყვანენ ლეოპოლდვილში. მაშ რა უყვეს გიზენგას? კითხულობს ყოველკვირეული.

„ტრიბუნი“ მოითხოვს, რომ კონგოს მთავრობამ გააკეთოს განცხადება, თუ რა ბედი ეწია ანტუან გიზენგას.

● **ლონდონი,** 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება საიგონიდან, სამხრეთ ვიეტნამის პარტიზანებმა ჩამოაგდეს ამერიკის ორი ვერტმფრინავი, რომლებიც მონაწილეობდნენ პარტიზანთა მიერ დაკავებულ პოზიციებზე თავდასხმებში. დაჭრილია ოთხი ამერიკელი და ორი ნგოდინდიემელი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც ამ ვერტმფრინავებში იმყოფებოდნენ.

ცდილობენ დაიყოლიონ ჩომბე

ნიუ-იორკი, 31 აგვისტო. (საკდესი). დაეთანხმება თუ არა ჩომბე „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ წარდგენილ შერიგების გეგმას კონგოში“, რასაც შეიცავს ბელგიის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი მიმართვა კატანგის მმართველისადმი?

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, აღნიშნული სამი ქვეყნის კონსულებმა ელიზაბეტვილში შესაბამისი მემორანდუმი გადასცეს ჩომბეს.

როგორც ცნობილია, ეს „შემარიგებლური გეგმა“, რომლის საფუძვლები შემუშავებულ იქნა ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის კოლონიურ სახელმწიფოთა შეხვედრაზე, ითვალისწინებს გარიგებას კონგოს ცენტრალურ მთავრობასა და კატანგელი სეპარატისტების ლიდერს შორის. ამ გარიგების არსი ის არის, რომ ჩომბემ ცენტრალურ მთავრობას უნდა გაუზიაროს იმ შემოსავლის ნაწილი, რომელსაც იგი იღებს როგორც გადასახადს „უნიონ მინიერის“ კონცერნისაგან, ვის ხელშიც არის კატანგის უმდიდრესი მინერალური რესურსების დამუშავება. ამის ნაცვლად ლეოპოლდვილის მთავრობა თანახმაა კონგო გადაიქცეს ფედერაციულ სახელმწიფოდ, რომელშიც კატანგა მნიშვნელოვანი ავტონომიით ისარგებლებს, კერძოდ, ეკონომიური ურთიერთობისა და წიაღისეულის დამუშავების დარგში. თვით ეს გარიგება შედეგია ხანგრძლივი გააფთრებული ვაჭრობისა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და ბელგიას შორის, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ „კონგოს საგანძურს“, როგორც კატანგას უწოდებენ.

ბონი ხელს აფარებს შტრაუსს

ბონი, 31 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ბ. იურინოვი იუწყება:

ორი დღის საიდუმლო თათბირის შემდეგ დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის კომისიამ, რომელიც იკვლევს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის შტრაუსის როლს „ფიბაგის აფერაში“, მთავრობის პარტიათა დეპუტატების ხმის უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიზანია მთლიანად გაამართლოს ბონის თავდაცვის მინისტრი.

როგორც ცნობილია, ამ სკანდალური საქმის არსი იმით ამოიწურება, რომ შტრაუსს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, როგორც მინისტრს, პირადი გამდიდრებისათვის გამოუყენებია. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების მსვლელობამ ცხადყო შტრაუსის უმსგავსო როლი „ფიბაგის აფერაში“ მთავრობის უმრავლესობამ კომისიაში გაიყვანა გადაწყვეტილება, სადაც ნათქვამია, რომ შტრაუსს, „თითქოს არ დაერღვიოს ფედერალური მინისტრის სამსახურებრივი მოვალეობანი“. ქრისტიანულ — დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ — სოციალური კავშირის ფრაქციამ ბუნდესტაგში გუშინ ეს გადაწყვეტილება პირდაპირ დაახასიათა, როგორც შტრაუსის „გამართლება“.

სოციალ-დემოკრატები, რომლებიც კომისიაში უმცირესობას შეადგენენ, იმ აზრისა არიან, რომ შტრაუსმა ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა როგორც მინისტრმა.

მოითხოვენ ადენაუერის გადადგომას

ბონი, 31 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის გამოსვლა ტელევიზიით, რომელშიც მან ინგლისის საწინააღმდეგო მკვეთრი შენიშვნები გამოთქვა, იმის საბაბი გახდა, რომ მწვავედ გაეკრიტიკებინათ იგი თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მთელ რიგ მოღვაწეებს, რომლებიც ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირთან და ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთან ერთად შედის ბონის მთავრობის კოალიციაში. ბუნდესტაგის დეპუტატმა თავისუფალი დემოკრატიული პარტიისაგან კოხუტმა პარტიის თავმჯდომარეს მენდეს გაუგზავნა დეპეშა და მოითხოვა, რომ თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირთან იმის შესახებ, რომ ადენაუერი გადადგეს კანცლერის პოსტიდან. პრეს-კონფერენციაზე არენსბურგში თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ ლევერენცმა განაცხადა, რომ თავისუფალი დემოკრატიული პარტია გავა მთავრობიდან, თუ კოალიციური შეთანხმება ადენაუერის გადადგომის შესახებ არ შესრულდა ახლანდელი მოწვევის ბუნდესტაგის საქმიანობის შუა პერიოდამდე. ლევერენცმა მოითხოვა, რომ მოლაპარაკება ამის შესახებ დაიწყოს შემოდგომაზე.

დასავლეთის მანკიერი პოზიცია

ჟენევა, 31 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). ნეიტრალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნეს 18 ქვეყნის განიარაღების კომიტეტის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის პრობლემის განსაკუთრებით სასწრაფო ხასიათი. ბრაზილიის დელეგატმა დე არაუხო კასტრომ და შვეციის დელეგატმა რ. ედბერგმა ილაპარაკეს იმაზე, რომ საჭიროა შეწყდეს საცდელი ატომური აფეთქებანი ყველა გარემოში, ატმოსფეროში, კოსმოსში, წყალქვეშ და მიწის ქვეშ — და მოუწოდებდნენ განაგრძონ მოლაპარაკება ამ მიზნის მისაღწევად. ამასთან როგორც ბრაზილიის, ისე შვეციის წარმომადგენელმაც ერთხელ კიდევ მიაქციეს კომიტეტის ყურადღება იმ გარემოებას, რომ რვა ნეიტრალისტური სახელმწიფოს მემორანდუმი ასეთი შეთანხმების საფუძველია. ეს მემორანდუმი ედბერგმა მიიჩნია შეთანხმების საუკეთესო ბაზად,

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა ა. დინმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან განაგრძონ შეუსვენებლად ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკება. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სახელით კომიტეტის განსახილველად მან შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ სამი სახელმწიფოს (სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის) ქვეკომიტეტმა, რომელიც განიხილავს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის პრობლემას, განაგრძოს თავისი სხდომები 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის შესვენების დროსაც. მაგრამ ა. დინმა აქვე დასძინა, რომ ქვეკომიტეტმა თავის დისკუსიას საფუძვლად უნდა დაუდოს ინგლის-ამერიკის ხელშეკრულებათა ორი პროექტი, რომლებიც შემოტანილი იყო 27 აგვისტოს, ესე იგი ის დოკუმენტები, რომელთაგან ერთი სავალდებულო ინსპექციის თავისი დაუსაბუთებელი მოთხოვნით აფერხებს ყველა გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევას, ხოლო მეორე მიზნად ისახავს მიწისქვეშა აფეთქებათა ლეგალიზაციას.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია შეისწავლის ბრაზილიისა და შვეციის წარმომადგენელთა გამოსვლებს, რომლებიც წარმოადგენენ ინტერესს იმ პრობლემისათვის, რომელსაც კომიტეტი განიხილავს.

მან თქვა აგრეთვე, რომ საბჭოთა დელეგაცია განიხილავს ინგლის-ამერიკის წინადადებას, რომ ქვეკომიტეტმა მუშაობა განაგრძოს შეუსვენებლად. ამასთან საბჭოთა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როგორც ეს წინადადება ცხადყოფს, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი კვლავინდებურად არ აპირებენ განაგრძონ მოლაპარაკება რვა ქვეყნის მემორანდუმის საფუძველზე, არ აპირებენ ეძებონ კომპრომისული გადაწყვეტა, რასაც ნეიტრალისტული ქვეყნები მოითხოვენ.

დღევანდელ სხდომაზე კომიტეტის მონაწილეები განაგრძობდნენ აგრეთვე დისკუსიას დღის წესრიგის საკითხზე — ჩვეულებრივ შეიარაღებათა და მათი წარმოების შემცირება პირველ ეტაპზე.

კომიტეტი შეიკრიბება შემდეგ სხდომაზე ორშაბათს, 3 სექტემბერს.

„ყველაზე რეალისტური მიდგომა“

ადის-აბება, 31 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ვოის ოფ ეთიოპია“ მიესალმება საბჭოთა კავშირის წინადადებას ჟენევის მოლაპარაკებაზე იმის შესახებ, რომ 1963 წლის 1 იანვრიდან შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა და ხაზს უსვამს, რომ ეს წინადადება „ყველაზე რეალისტური მიდგომაა პრობლემის გადაჭრისადმი“ და რომ იქ ნეიტრალისტური სახელმწიფოების პოზიციამ და მათმა მემორანდუმმა „სრული მხარდაჭერა პოვეს“.

დამსახურებისამებრ!

ჰავანა, 31 აგვისტო. (საკდესი). ჰავანის პროვინციის რევოლუციურმა ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა ექვს კონტრრევოლუციონერს.

კონტრრევოლუციონერებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაულობანი, მათ შორის, მშრომელთა, სახალხო მილიციისა და რევოლუციური არმიის მებრძოლთა, ადგილობრივ ხელმძღვანელთა დახოცვა, აგრეთვე ცეცხლის წაკიდება სახალხო ქონებისათვის.

დამნაშავეთა ბანდის საქმის სასამართლო განხილვა საჯარო იყო და მიმდინარეობდა ქალაქ გუინესის (ჰავანის პროვინცია) საქალაქო სასამართლოში. რევოლუციური ტრიბუნალის განაჩენი ერთსულოვნად მოიწონა ქალაქის ყველა მცხოვრებმა, რომლებიც სასამართლოს ესწრებოდნენ. განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

„საერთო ბაზარი“ ლახვარია მშრომელებისათვის

პარიზი, 31 აგვისტო. (საკდესი). ბუკოს (საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთი, ესპანეთის საზღვრის მახლობლად) ლითონგადასამუშავებელი ქარხნის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა დახუროს ეს საწარმო როგორც „არარენტაბელური“ და ამით უმუშევრობას უქადის 1.500-ზე მეტ მუშას. აღშფოთებულმა მელითონეებმა 24 საათის გაფიცვა გამოაცხადეს და მასობრივი მიტინგი მოაწყეს. მიტინგზე გამოსულებმა დაგმეს „საერთო ბაზარი“, როგორც მუშათა უბედურების წყარო. სწორედ ამ „საერთო ბაზრის“ გამო, სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტთა კომბინაციების გამო, — თქვა მუშამ ანდრე მემ, — იხურება ჩვენი ქარხანა, და მშრომელთა ათას ხუთასი ოჯახი იძულებული იქნება იშიმშილოს“. მეორე ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლებმა „მუშების წინააღმდეგ გამოიყენეს „უშიშროების რესპუბლიკური რაზმების“ საიდუმლო პოლიციის აგენტები, ხოლო დამნაშავე „ულტრების“ დაჭერას მთავრობა არ ჩქარობს“.

მიტინგის მონაწილეებმა აირჩიეს დელეგაცია, რომელმაც, პოლიციელთა და ჟანდარმთა კორდონების მიუხედავად, მიაღწია სუპრეფექტურის შენობას და ხელისუფალთა წარმომადგენლებს გადასცა თავისი მოთხოვნები.

გუშინ გაიფიცნენ აგრეთვე „ჯენერალ მოტორსის“ ფირმის ელექტრომექანიკური ქარხნის საამქროთა მუშები პარიზის ჟენვილიეს გარეუბანში. გაფიცვის მიზეზი იყო 684 მუშის დათხოვნა, რომლებიც ქუჩაში დარჩნენ ისე, რომ არსებობის არავითარი სახსარი არა აქვთ. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც შედიან შრომის საყოველთაო კონფედერაციასა და საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციაში, მოაწყეს ქარხნის მუშათა მიტინგი და მოითხოვეს დათხოვნილთა აღდგენა სამუშაოზე. მიტინგზე გამოსულებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კაპიტალისტთა, მათ შორის ამერიკის ამ ტრესტის საფრანგეთის ფილიალის მოგება მკვეთრად გაიზარდა უკანასკნელ წლებში, ხოლო მშრომელთა ცხოვრება სულ უფრო მძიმე ხდება, მყიდველობითი უნარი ეცემა. ქარხნების დირექცია, თქვა ერთ-ერთმა ორატორმა, აცხადებს, რომ მუშების შემცირება „უხდება“ გასაღების კრიზისის გამო. „მაშ რატომ არის, — თქვა მან, — რომ საფრანგეთში შემოაქვთ უცხოეთის მარკის ასეთივე ნაწარმი? მთელი საქმე „საერთო ბაზარია“, რომელიც იწვევს წარმოების შემცირებას და ლახვარს ცემს მშრომელებს...“

ჩაუმქრალი მუგუზალი

უკანასკნელ დღეებში მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალი მიპყრობილია დასავლეთ ბერლინზე. სამწუხაროდ, თვალებში ასახულია არა იმედი, არამედ შეშფოთება. დასავლეთ ბერლინის ბიკფორდის ზონარმა კვლავ დაიწყო ბჟუტვა, და ევროპის ცენტრში ნამწვის სუნი დადგა.

დაწყებული 18 აგვისტოდან, „საფრონტო ქალაქი“ დასავლეთბერლინელ მოფაშისტო არამზადათა პროვოკაციული მოქმედების ასპარეზი გახდა. მათ ბონი და ვაშინგტონი აქეზებენ. სწორედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლუბკემ მისცა სიგნალი ამ პროვოკაციებისათვის, აღუთქვა პროვოკაციების მონაწილეებს, რომ მათ შეუძლიათ დასავლეთ მაოკუპირებელ სახელმწიფოთა შეიარაღებული დახმარების იმედი ჰქონდეთ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე ზედიზედ ეწყობა არეულობა. დივერსანტები ცდილობენ შეაფერხონ მიმოსვლა საქალაქო რკინიგზაზე, რომელიც დემოკრატიული ბერლინის ხელისუფლებს ეკუთვნის. დასავლეთ გერმანიის სამხედრო თვითმფრინავები იჭრებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. მოფაშისტო ელემენტებმა დასავლეთ ბერლინის ამერიკულ სექტორში მოაწყეს მთელი რიგი საშიში პროვოკაციები საბჭოთა ჯარების იმ ყარაულის პირადი შემადგენლობის წინააღმდეგ, რომელიც ტირგარტენში საბჭოთა მეომრების ძეგლთან დაცვის სამსახურის შესასრულებლად მიდიოდა, აგრეთვე ბერლინში საბჭოთა კავშირის საელჩოს დიპლომატიურ თანამშრომელთა ჯგუფის წინააღმდეგ.

თვითეული ეს პროვოკაცია საშიშია უკვე თავისთავად. მაგრამ განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ის, რომ ყველა ეს პროვოკაცია წინასწარგანზრახულ ხასიათს ატარებს, მათ ნატოს აგრესიული წრეები აწყობენ და წარმართავენ. ეს პროვოკაციები შემადგენელ ნაწილად შედის ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ხელმძღვანელთა შორის გამიზნულ გეგმებში — გააძლიერონ დაძაბულობა ევროპის ცენტრში, გაალვივონ მეორე მსოფლიო ომიდან მემკვიდრეობად დარჩენილი ჩაუმქრალი მუგუზლები.

ბონელი რევანშისტები აღტაცებული არიან მოვლენების ასეთი განვითარებით. მათ ხომ ჩინებულად ესმით, რომ მათი აგრესიული მადის დაკმაყოფილების ერთადერთი შანსი ომია. ისინი ბოროტი განზრახვით ეწევიან ინტრიგებს დიპლომატიურ პარკეტზე და ნატოს მყუდრო სამხედრო კაბინეტებში, ცდილობენ შეაჯახონ დასავლეთი აღმოსავლეთს. თუ ზოგიერთი მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, სწორედ ამაზე აწარმოებდნენ მოლაპარაკებას 18 აგვისტოს კანცლერი ადენაუერი და დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრი ვილი ბრანდტი.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ზოგი ქირი მარგებელია. ავანტიურებმა და პროვოკაციებმა, რომლებსაც დასავლეთ ბერლინში აწყობენ, თვალნათლივ დაანახვა სკეპტიკოსებსაც კი დასავლეთის საზოგადოებრიობის წრეში, რომ ახლანდელი არანორმალური მდგომარეობა, რომელიც „საფრონტო ქალაქში“ შეიქმნა, საფრთხეს უქმნის მშვიდობას ევროპაში და მთელ მსოფლიოში. ცეცხლთან თამაში საშიშია. ორმაგად საშიშია ცეცხლთან თამაში თოფისწამლის კასრზე.

როცა ვეცნობით დასავლეთის პრესის აზრებს იმ ამბების გამო, რაც დასავლეთ ბერლინში ხდება, კმაყოფილებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ნატოს ქვეყნების საზოგადოებრიობა სულ უფრო ნათლად ერკვევა ბონის ჯოჯოხეთურ გეგმებში— „იომოს დასავლეთ ბერლინისათვის უკანასკნელ ამერიკელამდე, ინგლისელამდე ან ფრანგამდე“. მაგალითად, ინგლისური ყოველკვირეული ჟურნალი „ტრიბუნი“ წერს, რომ „დასავლეთი ბერლინი კვლავ რჩება დაყოვნებული მოქმედების ცეცხლგამჩენ ბომბად, და პირველი, რაც საჭიროა გაკეთდეს, ეს არის მისი განმუხტვა“. ყოველკვირეული ჟურნალი გაფრთხილებას იძლევა, რომ ზოგიერთი ელემენტების სურვილია სამხედრო მოქმედებაში ჩაითრიონ ნატოს ჯარები. ინგლისური გაზეთი „ნიუს ოფ უორლდი“ გაფრთხილებას იძლევა, რომ „ადენაუერს სრული შესაძლებლობა აქვს შანტაჟს მიმართავდეს“, და აცხადებს, რომ დადგა დრო, როცა ბონს უნდა ვუთხრათ, რომ ომის საშიშროება უნდა აღმოიფხვრას.

თვით დასავლეთ გერმანიაშიც მწიფდება შეგნება, რომ ბონისა და დასავლეთ ბერლინელ ხელისუფალთა ავანტიურისტული კურსი, რომელმაც ნატოს კურთხევა მიიღო, მოასწავებს თვითმკვლელობას, შემაძრწუნებელ ეროვნულ კატასტროფას. თავის წერილში გაზეთ „დერ ტაგესშპიგელისადმი“ დასავლეთ გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის აქტიური მოღვაწე ქალბატონი ლუდერსი წერს: „ბერლინში ახლა საქმე ისევე შორს წავიდა, როგორც ეს იყო თავის დროზე, როცა ხდებოდა ნაცისტური არეულობის ინსცენირებანი საკმაოდ ცნობილი გებელსის ბრძანებითა და მონაწილეობით, დებოშებსა და კიდევ უფრო ცუდ რამეებს დღითიდღე აღვივებენ ბულვარული გაზეთები. რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდია, რომ ყოველთვის ერთი და იგივე გაზეთები და თანაც ისეთები, რომლებიც, რამდენადაც მე ვიცი, მჭიდროდ დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ორგანიზაციულად და ეკონომიურად, შეუგნებელ ახალგაზრდობას აქეზებენ ისეთი მოქმედებისათვის, რომელმაც დანამდვილებით უნდა გამოიწვიოს სამოქალაქო ომი... მოვლენებმა დიდი ხანია დაამტკიცა, რომ წამქეზებელი ცნობების გავრცელება დაუყოვნებლივ იწვევს ახალ არეულობასა და ექსცესებს“.

მსოფლიო საზოგადოებრიობის ასეთი რეაგირება აშკარად არ მოეწონათ პროვოკაციების მომწყობთ. 24 აგვისტოს პრეს-კონფერენციაზე შენებერგის რატუშაში ვილი ბრანდტმა თავდაჭერა დაკარგა და დაიძახა: „მაგრამ ჩვენ უნდა გვიხსნან ლაყბობისაგან, რომელიც კოკტეილებიან დარბაზობებზე იმართება“. არა, ბატონო ბრანდტ, ეს ლაყბობა კი არ არის, არამედ ღრმა შეშფოთებაა თქვენი მოქმედების და თქვენი ბატონების მოქმედების გამო, რომლებიც ომის მოწამლულ კოკტეილს ამზადებენ!

რუსებს ასეთი ანდაზა აქვთ: „სანამ მეხი არ გავარდება, გლეხი პირჯვარს არ გადაიწერსო“. პროვოკაციულმა ქუხილმა, რომელიც დასავლეთ ბერლინში გაისმა, მთელ მსოფლიოს დაანახვა, თუ რა დიდმნიშვნელოვანია გადაჭრით მოეღოს ბოლო მეორე მსოფლიო ომის ნაშთებს, ხელმოწერილ იქნას გერმანიის საზავო ხელშეკრულება და ლიკვიდირებულ იქნას საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში. სწორედ ამ წინადადებას იძლევა საბჭოთა კავშირი. სწორედ ამას ამბობდა თავის სიტყვაში წითელ მოედანზე 18 აგვისტოს საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი. „ბატონმა ხრუშჩოვმა კარი გააღო ბერლინზე მოლაპარაკების ახალი, უფრო დამაიმედებელი სტადიისათვის“, — წერს „ტრიბუნი“ და მოუწოდებს დასავლეთს „ორივე ხელი“ ჩასჭიდოს საბჭოთა წინადადებებს, რათა ბერლინიდან მოსული ამბები სულ უფრო და უფრო ცუდი არ ხდებოდეს. ინგლისური გაზეთი „ობსერვერიც“ აღიარებს, რომ „ბატონი ხრუშჩოვი დასავლეთს კიდევ ერთ შანსს აძლევს მოლაპარაკებისათვის“, და რჩევას იძლევა ხელიდან არ გაუშვან ეს შანსი.

მაგრამ, სამწუხაროდ, დასავლეთის დედაქალაქებში, როგორც ჩანს, არა სურთ ყური დაუგდონ ამ გონივრულ ხმებს. განზრახ გაამწვავეს რა ვითარება ბერლინში, ნატოს ხელმძღვანელებმა განიზრახეს საოკუპაციო სტატუტი გაევრცელებინათ დემოკრატიულ ბერლინზეც, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. საბჭოთა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ბერლინში საბჭოთა ჯარების გარნიზონის კომენდატურის გაუქმების შესახებ და ამით ანგარიში აურია დასავლეთს. საბჭოთა კავშირმა ეს ნაბიჯი გადადგა მეორე მსოფლიო ომის ნაშთების აღმოფხვრის პოლიტიკის სრული შესაბამისობით. მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო წრეებში ეს ნაბიჯი სამართლიანად შეაფასეს როგორც ეფექტიანი ღონისძიება, რომელმაც შხამიანი ნესტარი ამოჰგლიჯა ცეცხლწამკიდებლებს.

წითელ მოედანზე გამოსვლისას ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირი არ შეწყვეტს თავის ღონისძიებებს გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის. ომის დამთავრების შემდეგ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერა არის არა მარტო უფლება, არამედ აგრეთვე მოვალეობა ყველა იმ სახელმწიფოსი, რომლებიც ომში მონაწილეობდნენ. მხოლოდ უგუნურებს შეუძლიათ წავიდნენ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებების წინააღმდეგ.

დიახ, მხოლოდ უგუნურებს. ამ უგუნურებმა ატეხეს აურზაური დასავლეთ ბერლინში. სწორედ ეს უგუნურები, რომლებიც ცდილობენ გამოლმა შემოგვეძალონ, რომ გაღმა შერჩეთ, ახლა გაჰყვირიან, რომ ყველაფერი იმ კედლის ბრალია რომელიც აიგო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე ბერლინში. მაგრამ სახელმწიფო საზღვრების გამაგრება ყოველი ქვეყნის წმიდა მოვალეობაა. უკანასკნელი დღეების პროვოკაციებმა ცხადყო, თუ რამდენად დროული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ მიღებული ღონისძიება. კედელი, რომელსაც პროვოკაციების მღვრიე ტალღა ასკდება, ემსახურება არა მარტო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესებს, არამედ ევროპაში, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ინტერესებსაც.

სიძულვილით დაბრმავებული გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ აშკარა წამქეზებლური ტონით წერს: „საყვირებს ყოველდღე სულ უფრო და უფრო ხმამაღლა რომ ვაყვირებთ, ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ კედელი დაიქცეს“. ეტყობა, ამ გაზეთში მჯღაბნელებმა დაივიწყეს, რომ სოციალისტური ბანაკი იერიქონი როდია.

ნაცვლად იმისა, რომ მთელ მსოფლიოში გაჰყვიროდნენ თავიანთი უგუნურების შესახებ, განა არ სჯობს ყური დაუგდონ გონების ხმას?

მ. სტურუა.

ბერლინში პროვოკაციების ტალღა იმსხვრევა მშვიდობის კედელზე

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები ცნობები მიმოხილვა



მალის რესპუბლიკის დედაქალაქ ბამაკოში გაიმართა ანტიიმპერიალისტური მიტინგები და დემონსტრაციები.

სურათზე: ბამაკოში დემონსტრაციის მონაწილეთა კოლონა.

ფოტო სინხუა-საკდესისა. (მიღებულია რადიოთი).

ახალი ამბები

ჩვენი სტუმრები

მეცნიერთა მაღალი შეფასება

— **ვნახე** თქვენი სამეცნიერო დაწესებულებანი და ვამტკიცებ: ქართველი ონკოლოგები ეწევიან ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, — განაცხადა ინგლისელმა მეცნიერმა, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სამედიცინო სტატისტიკის განყოფილების უფროსმა ვილიამ ლოგანმა. იგი თბილისს ჩამოვიდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დელეგაციის ორ სხვა წევრთან — ქრონიკულ დაავადებათა განყოფილების უფროს ლუი ვერხოესტრატთან (ბელგია) და თვალსაჩინო საბჭოთა ონკოლოგ ალექსანდრე ჩაკლინთან ერთად, რათა გაეცნოს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციასა და მეცნიერულ კვლევას ამ დარგში.

მეცნიერები იყვნენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და საბჭოთა კავშირის ქალაქებში.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განსაკუთრებით დეტალურად შეისწავლეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერის მუშაობა. ინსტიტუტის დირექტორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა ა. რ. ღვამიჩავამ და რესპუბლიკის მთავარმა ონკოლოგმა, პროფესორმა კ. პ. ვეფხვაძემ უამბეს სტუმრებს ფართო მასშტაბის მეცნიერული მუშაობის შესახებ.

თბილისიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დელეგაცია ტაშკენტს გაემგზავრა, საიდანაც წავა ინდოეთში, შემდეგ კი ცეილონში, პაკისტანსა და ირანში. (საქდესი).

„მედიმპექსი" თბილისში

გუშინ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პირველ საავადმყოფოში გაიხსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფარმაცევტული მრეწველობის პროდუქციის გამოფენა, რომელიც მოაწყო უნგრეთის საგარეო ვაჭრობის წამოწყებამ ფარმაცევტულ წარმოებაში „მედიმპექსმა". საავადმყოფოს ვრცელ დარბაზებში წარმოდგენილია სამკურნალო პრეპარატები, რომლებსაც უშვებენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სამრეწველო ორგანიზაციები.

გამოფენა გახსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს სავაჭრო მრჩეველმა მ. კადარმა. საქართველოს სამედიცინო საზოგადოებრიობისა და ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელით უნგრელ სტუმრებს მიესალმა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, პროფესორი გ. მარუაშვილი.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. გ. **მარუაშვილმა** თქვა:

— ბევრი აქ წარმოდგენილი სამკურნალო პრეპარატი, ამბობს იგი, — ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში. გამოფენაზე არის შესანიშნავი პრეპარატები — სტეროიდული ჰორმინები, როგორიც არის პრედნიზოლონი, ჰიდროკორტიზონი, რომლებიც შველის ინფექციურ დაავადებებს. კარგი პრეპარატია ჰექსამედინი. იგი ეპილეფსიის დროს ავადმყოფს უმცირებს გულისყრას. ჰეპარინს ფართოდ იყენებენ გულის კუნთის ინფარქტის წინარე მდგომარეობის შემთხვევაში. ჰიპოთიაზიდი და სხვა მსგავსი პრეპარატები კარგად მოქმედებენ ჰიპერტონიული დაავადების შემთხვევაში. გამოფენაზე მრავალი ასეთი ეფექტური სამკურნალო პრეპარატია წარმოდგენილი.

გამოფენა 7 სექტემბრამდე გასტანს. ეს გამოფენა ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხისა და უნგრელი ხალხის მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. **სირაძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. **კვაჭაძე**.

მოკლედ ყველაფერზე

● **რ უ ს თ ა ვ ი.** (საკ. კორ.). სოჭი, კისლოვოდსკი, ბორჯომი და წყალტუბო, ცემი და პიატიგორსკი, გაგრა და ქობულეთი, ციხისძირი და ახალი ათონი — აი კურორტები, სადაც ყოველწლიურად მრავალი მეტალურგი მიემგზავრება დასასვენებლად.

ამჟამად კურორტებზე იმყოფებიან და ჯანმრთელობას იკაჟებენ მეფოლადე ო. წითლიძე, ოსტატი გ. დობორჯგინიძე, ოპერატორი კ. ბადრიშვილი, ზეინკალი ი. შურიგინი, მეარხე მ. ისმაილოვი და ბევრი სხვა.

● **ც ხ ა კ ა ი ა.** (საკ. კორ.). ხალიჩების ფაბრიკის ნაწარმი შორს არის ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

შვიდწლედის დავალებებს ცხაკაიელი ფეიქრები გადაჭარბებით ასრულებენ. აგვისტოში მათ სახელმწიფოს მისცეს ზეგეგმითი პროდუქცია, პროდუქციის თვითღირებულება კი 0,8 პროცენტით შეამცირეს.

● **ხ ა შ უ რ ი.** მეგობრებს მოჰქონდათ ყვავილები, ფოსტალიონს მისალოცი დეპეშები. ულოცავდნენ იუბილარს შრომითი მოღვაწეობის 40 წლისთავს. ეს იყო ძველი რკინიგზელის ანდრო სინეგუბოვის იუბილე. დღეს მსახიობის, მწერლის, მეცნიერის გვერდით იუბილარის გვირგვინით ამკობენ მუშასაც. ასე ფასდება შრომა და მშრომელი კაცი ჩვენს ქვეყანაში.

საუბარი შვილთან

ხუტა ბერულავა

რეკავს, რეკავს, რეკავს
მოზეიმე ზარი,
და შენც გიხმობს ახლა,
რომ გაგიღოს კარი.

განა მარტო სიბრძნის,
განა მარტო სკოლის, —
უსასრულო სივრცის,
მომავლის და ბრძოლის.

ზარია თუ ელვა,
ნაპერწკლებით სავსე,
მეც რომ ბავშვი ვიყავ,
რეკდა აი ასე.

აი ასე გახსნა
ჩემი გზა და კვალი,
აი ასე მაშინ
დამისველა თვალი.

ფოთოლივით ვთრთოდი
იმ სექტემბრის დილით,
რომლის წინაღამეს
არ მწვევია ძილი.

არ სწვევია ძილი
მამის მზიან თვალებს
და მიჰქონდა ღამე
მის ვაჟკაცურ ალერსს.

ჯანმკვრივი და დინჯი
მისინჯავდა მაჯას.
ადიდებდა კაცთა
შრომასა და გარჯას.

დედაენის სიტკბოს
მაწვეთებდა გულში.
და ეს იყო როდის?
თითქოს მხოლოდ გუშინ...

ბიჭო, როგორ სწრაფად
დადგა შენი ჯერი
და ამაღლდა ცამდე
ჩემი სახლის ჭერი.

შენ რა იცი ძალა
სიხარულის ცრემლის,
შენ რა იცი, რაა
და გაიგებ მერმისს...

დღეს სხვაგვარი დღეა,
განა მარტო შენთვის!
ჩემი ყველა ფიქრი
ზარის წკრიალს ერთვის.

დღეს იწყება ჩემი
მომავალიც, გესმის?
უკვდავების ჩემის
ძირიცა და ფესვიც.

დღეს იწყება შენი
გზა დიდი და ვრცელი!
მაშ მოიტა ხელი,
ჩამოგვართვი ხელი,

ვაჟკაცურად, აგრე!
გადაიქეც ქარად
და სკოლისკენ გასწი
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!

თბილისი. ახალი კაფე სპორტის სასახლის სკვერში.
ფოტო ს. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მოდენაში მოპოვებული მედლები

ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას და ფოტოხელოვნების შემდგომ განვითარებას ისახავს მიზნად სხვადასხვა სახის საერთაშორისო გამოფენები, რომლებიც თითქმის ყოველ წელს იმართება. გამოფენისათვის ყველა ქვეყნიდან იგზავნება ნამუშევრები. სპეციალური მისაღები კომისია არჩევს საუკეთესოებს ექსპოზიციისათვის. ჟიურის გადაწყვეტილებით ფოტონამუშევრების ავტორებს მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით აჯილდოებენ, შემდეგ კი გამოფენა იწყებს მოგზაურობას სხვადასხვა ქვეყანაში.

ერთ-ერთი ასეთი საერთაშორისო გამოფენა მოეწყო 1962 წლის 19 მაისიდან 3 ივლისამდე იტალიის ქალაქ მოდენაში, სადაც ექსპონირებული იყო 45 ქვეყნის 1.200-ზე მეტი ფოტოსურათი, მათ შორის საბჭოთა კავშირიდან 21 ავტორის 26 ნამუშევარი.

დიდი პრიზი და ოქროს მედალი დაიმსახურა შვედ მანე ლინდის ფოტოსურათმა „დარჩენილი გოგონა". სურათზე აღბეჭდილია მამაკაცი, რომელსაც მკერდში ჩაუხუტებია ალბათ სტიქიური უბედურების მიზეზით დაობლებული 6-8 წლის საბრალოდ შემოხვეული გოგონა. სურათი უდავოდ ააღელვებს მნახველს. განსაკუთრებით მეტყველია მამაკაცის თვალები.

ვერცხლის მედალი მიენიჭა იტალიელი ფოტოკორესპონდენტის ვანი სილვიოს ფერად სურათს „მომავალი დღე".

ჟიურის მიერ დაწესებული ბრინჯაოს რამდენიმე მედლიდან ორი წილად ხვდათ საქართველოს წარმომადგენლებს [illegible] ოსნაბოვს — ფოტოსურათისათვის „მთვარისაკენ" და გურამ თიკანაძეს — ფერადი სურათისათვის „ზღვაზე". [illegible] სურათი „მთვარისაკენ" გადაღებულია აბასთუმნის ობსერვატორიაში ღამით, როდესაც ასტრონომები აზუსტებენ მთვარის კოორდინაციას რაკეტის გაშვების დროს. შუქჩრდილების ზუსტი გამოყენებით ავტორმა ნათლად გადმოსცა მთვარის დისკოს ანაბეჭდი და მისკენ დამიზნებული ტელესკოპი.



გურამ თიკანაძის ფერადი ფოტოსურათი „ზღვაზე" გადმოგვცემს თბილისის ზღვის პეიზაჟს. ლურჯი ფერით გადაწყვეტილი სურათის რიტმულობას არღვევს ზედა კუთხეში მწვანე ხმელეთი და შუაში წყლის ელვარე ზედაპირი, რომელზეც ორი ნავი დაცურავს. ავტორები არჩეული არიან ქალაქ მოდენის საერთაშორისო ფოტოსალონის წევრებად. ეს საერთაშორისო წესია — ამა თუ იმ ქალაქში მოწყობილი გამოფენის ყველა მონაწილე ქალაქის ფოტოსაზოგადოების წევრი ხდება.

ამჟამად ჩვენი ფოტოკორესპონდენტების ნამუშევრები გაგზავნილია რამდენიმე ქვეყანაში გამოფენებზე ექსპონირებისათვის.

• • •

სურათზე: მედლის წინა (მარცხნივ) და უკანა მხარე. მედალს ასეთი წარწერა აქვს: „1962 წ. მოდენის IV საერთაშორისო ყოველწლიური გამოფენა. იტალია".

გაზეთ „გორის" მე-5.000 ნომერი

გორი, 1 სექტემბერი. (საქდესი). დღეს მკითხველებმა მიიღეს გაზეთ „გორის" — პარტიის ქალაქკომისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანოს მე-5.000 ნომერი.

გაზეთის მე-5.000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით გორის პედაგოგიური ინსტიტუტის კლუბში გაიმართა გაზეთის კორესპონდენტთა და მკითხველთა კრება.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის გორის ქალაქკომის მდივანმა თ. ბერიაშვილმა. მოხსენება სამეურნეო და კულტურული ამოცანების მშენებლობის წარმატებით გადასაწყვეტად მშრომელთა მობილიზაციის საქმეში გაზეთის მუშაობის შესახებ გააკეთა გაზეთის რედაქტორმა შ. ჩუბინიძემ.

მისალმებებით გამოვიდნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, გორის ბამბეულის კომბინატისა და საკონსერვო ქარხნის წარმოების მუშაკები, მოსწავლეები, რესპუბლიკური და სარაიონთაშორისო გაზეთების მუშაკები, მუშკორები.

დასასრულ აქტიურ მუშკორებს, რედაქციის განყოფილებათა შტატგარეშე მუშკორებს, სტამბის მოწინავე მუშებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

ჩეხი ელმავალმშენებლები კოლეგებთან

სამ დღეს იყვნენ სტუმრად თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში ჩეხოსლოვაკიის პლზენის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხანა „შკოდას" დირექტორი ირჟი ვემერი, მთავარი კონსტრუქტორი იაროსლავ კრალი და საგარეო ვაჭრობის წარმომადგენელი მიროსლავ კოჩარეკი.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ქარხნის საამქროები, გაეცნენ ელექტრომავლების კონსტრუქციებს, მათი დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებს, ესაუბრნენ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებს.

მასპინძლებმა 28 აგვისტოს ქარხნის სხდომათა დარბაზში შეხვედრა მოუწყეს სტუმრებს. მოხდა აზრთა ურთიერთგაზიარება. ჩეხოსლოვაკიელმა სტუმრებმა ილაპარაკეს თავიანთი ქარხნის მიღწევებზე, შრომის ორგანიზაციაზე, თანამედროვე დანადგარებზე და სხვ.

შეხვედრის დასასრულს მასპინძლებმა და სტუმრებმა ერთსულოვნად გამოთქვეს სურვილი დამყარდეს მეგობრული ურთიერთკავშირი თბილისისა და პლზენის ელმავალსამშენებლო ქარხნების კოლექტივებს შორის.

დამშვიდობებისას ჩეხმა სტუმრებმა სთხოვეს თბილისელ ელმავალმშენებლებს სტუმრად ეწვიონ ჩეხოსლოვაკიაში.

ვის ჰყავს ასეთი მეზობელი?!

ფელეტონი

— ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა! — ამ სიტყვებით შემოაღო კარი ჩემმა მეორე ნახევარმა და სანამ რაიმეს ვკითხავდი, შეუდგა ჩემს დახასიათებას.

— უშნო ხარ, უშნო, ცხოვრების არაფერი გესმის. ის დღე რატომ არ დაიქცა, შენ რომ გამოგყევი ცოლად, შე უდღეურო, ოჯახს რომ ეკიდებოდი, არ ფიქრობდი ცოლ-შვილს მოვლა უნდოდა? ახლა დავრწმუნდი მამაკაცები ნახევარიც არ ყოფილხართ საცოლშვილო. მინადორამ უნდა თქვას, ქმარი მყავს და ბედი მაქვსო, ადამიანს მაინც ჰგავდეს ის ბეჰემოტი!

მეზობლის ცოლის მოკლე დახასიათების შემდეგ ჩემმა სულიკომ კვლავ შეუსვენებლივ განაგრძო:

— თავი სიზმარში მგონია... რა სახლი, რა ავეჯი, „პტიჩი გლაზი" და „ტულპანი", „მოცარტი" და „გორკა", ნოხები და ხალიჩები, იმდენი ბროლის ჭურჭელი მაღაზიაშიც არ მინახავს ერთად გამოფენილი.

ახლა ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს არ იკითხავ? იმპორტული ტუფლები ქუსლების სიმაღლის მიხედვით ისეა დაწყობილი ცალკე ოთახში, კაცს აღმავალი დიაგრამა ეგონება, 12 ქურქი, 120 კაბა, ჯემპრები და ჟაკეტები, ნეილონი და სეილონი.

მივხვდი, რომ ახალმა მეზობელმა გადამირია ჩემი წყნარი და ჭკუიანი მეუღლე. მარტო მე ხომ არა ვარ ამ დღეში. ორი წელია რაც ჩვენი სახლის 30 ოჯახს მოსვენება აღარ აქვს ამ ძალად გამეზობლებული მეზობლისაგან.

— რა გაკლია, შე ქალო?! საჭმელი თუ სასმელი, ავეჯი თუ ტანსაცმელი, აუცილებლად 12 ქურქი უნდა გქონდეს და 120 კაბა? ორი სახლი და ოთხი აგარაკი?! — შევუტიე ჩემს მეორე ნახევარს.

— შე თვალებდასავსებო, ჩვენს მეზობელს მაინც შეხედე, კაცმა წერა-კითხვა არ იცის ხეირიანად და ძველ მემამულესავით ცხოვრობს. ორჯერ იყო ციხეში და ორჯერვე, თითქოს კურსებიდან დაბრუნდაო. გამოსვლისთანავე მაღაზიის გამგედ დანიშნეს. მოკლე დროში ისეთი სასახლე და აგარაკი აიშენა, რომ გამვლელ-გამომვლელს სანატორიუმი ჰგონიათ. ჩემიანებს რა ღმერთი გიწყრებათ, არც ერთს რომ არა გაქვთ ხეირი.

— მაგისთანები ნაქურდალით ცხოვრობენ. კომბინატორებსა და წამგლეჯებს გინდა შემადარო პატიოსანი კაცი?!

გაცეცხლებულმა ეს სიტყვები ისეთი ღრიალით წარმოვთქვი, რომ ჩვენი ბინის აღმშენებელთა წყალობით, ყველა მეზობელმა მოისმინა უკლებლივ, დაუმახინჯებლად. ჩემი ხმის სიძლიერეს სძლია ცოლის სიჯიუტემ და ხელი აალებინა მეზობლის ოჯახში მიღებულ შთაბეჭდილებათა გადმოცემაზე.

ეს ახალი მეზობელი ორი წლის წინათ შეგვემატა და მთელ ეზოში ძალად შეძენილი მეზობლის სახელით არის ცნობილი. ძალად მეზობელს ვეძახით, რადგან ერთი პატარა მაღაზიის გამგემ გვაჯობა 30 ვაჟკაცს.

მართალია, თავიდანვე მივიღეთ ენერგიული ზომები, მაგრამ მაინც დავმარცხდით მოწინააღმდეგის მოხერხებულობის თუ სხვა რაღაც ძალის წყალობით. სანამ ჩვენ განცხადებებს ვწერდით შემოჭრილი მოქალაქის თვითნებობის შესახებ, ახალი „მეზობელი" თანამედროვე სამშენებლო ტექნიკით შეიარაღებული ოცდაოთხი საათის განმავლობაში შეუჩერებლად აწარმოებდა მშენებლობას. მშვენიერი ეზოს იდეალური ნაწილი უზარმაზარი რკინაბეტონის ღობის იქით აღმოჩნდა ტყვეობაში. ამას ვინ ჩივის, ეზოსთან ერთად მოსვენებაც დავკარგეთ. დღედაღამ ქეიფი იყო ახალი მეზობლის ოჯახში. მოდიოდნენ და მიდიოდნენ ძმაბიჭები. მათი „ფაქიზი" გემოვნების წყალობით, განუწყვეტლივ ისმოდა დოლის ბაგაბუგი და მისი ხმა უროსავით გვცემდა თავში ძილგამფრთხალ მობინადრეებს.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ ახალ მეზობელს მაღაზია საკუთარ დუქნად ჰქონდა გადაქცეული და უსინდისოდ ატყუებდა პატიოსან ადამიანებს. ნაძარცვით ხელგაშლილად ცხოვრობდა და სხვებს აბუჩად იგდებდა. ჩვენ კი დოყლაპიებივით მშვიდად ვუყურებდით კომბინატორის პარპაშს და დაუშვებელ ნეიტრალიტეტს ვიცავდით.

„თუ არ დაიჭირე, ქურდი არ არის", ამბობდა ზოგიერთი მეზობელი. მაგრამ მეტი დაჭერა ვის რად უნდოდა, როცა ქურდმა, სრულიად მოურიდებლად, თავხედურად, ყველას თვალწინ მოაწყო ნაძარცვის გამოფენა. უზარმაზარი სახლი, აგარაკი, „ვოლგა", დღედაღამ გაუთავებელი ღრეობა და ფულის მოურიდებელი ფლანგვა...

ამას წინათ, სამსახურიდან რომ ვბრუნდებოდი, გაკრიალებული „ვოლგა" შემოიჭრა ეზოში. მანქანა გაჩერდა და იქიდან დინჯად გადმოვიდა ჩვენი ახალი მეზობელი. ჯერ მედიდურად გადმომხედა, შემდეგ დამცინავი ღიმილის დაუმალავად ამაყად მკითხა:

— აღარ მიჩივით, მეზობლებო? პასუხს არ დაუცადა და თვითონვე განაგრძო: — ჩემზე ყოველდღე წერენ განცხადებებს, მაღაზია შეჭამაო, ხალხს ტყავს აძრობსო. მერე რა, წერონ და იკითხონ. თქვენც ბევრგან მიჩივლეთ, მაგრამ ხახვიც ვერ დამაჭერით ყურზე. ახლა ხომ დარწმუნდით ჩემს ძალაში. მართალია, თქვენსავით ინსტიტუტები არ დამითავრებია, მაგრამ სანამ არქიფო ლონგინოზოვიჩი მყავს ცოცხალი, ადვილად ვერავინ წამომკრავს ხელს. თქვენ, ბიძიკო, ცხოვრება არ იცით. ყველაფერი ეს არის, აი!.. — ამ სიტყვებთან ერთად ცერს საჩვენებელი თითი გაუსვ-გამოუსვა.

მე რომ რესტორანში შევდივარ, ოფიციანტები რაკეტის სისწრაფით გამორბიან შესაგებებლად. შენ კი სანამ ორ თეფშს მაინც არ გატეხავ დანის რახუნით, კაცი არ გკითხავს, რაზე ინებებთ მობრძანებაო. იციან ბიჭებმა, რომ ზოგიერთებივით კაპიკ-კაპიკ არ მოვითხოვ დაწერილ ანგარიშს. დამრგვალებული რიცხვებით მიყვარს ოფიციანტებთან ლაპარაკი. არც ბაზარში ვევაჭრები ვინმეს. მანეთს დააფასებს — ორ მანეთს მივცემ. ორს მეტყვის, ოთხს გადავუხდი. პარიკმახერებიც იცნობენ ვაჟკაც მუშტრებს. მე როცა პირს მპარსავენ, სამართებელს ერთხელ რომ სახეზე ჩამომისვამენ, ათჯერ სალესზე აუწყობენ პირს. იციან — ათჯერ მეტს მივცემ გასამრჯელოს. შენისთანებს მთელი დღე აცდევინებენ გარეთ. თუ მოთმინება გეყო და არ წახვედი, ისეთი ბლაგვი სამართებლით გაგპარსავენ, რომ ერთბაშად გატირებენ ყველა გარდაცვლილ ნათესავს.

ჩემი უფროსი უჩემოდ ერთ ლუკმასაც არ შეჭამს. ყველა ქეიფსა და დროსტარებაში მე დავყავარ. როცა რაიონიდან მიემგზავრება თბილისში ან სხვა ქალაქში, ორი დღით ადრე მე მივდივარ მახარობელივით და, ცხადია, როგორც წესი, ყველაფერი თავის რიგზე მიმდინარეობს. ამიტომ მეძახიან კაი ბიჭს.

თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, კაცი თვეში 70 მანეთს ვიღებ და ათ ამდენს დღეში ვხარჯავ. არხეინად იყავი, ყველაფერზე მაქვს შეგროვილი საჭირო საბუთები.

ეს სახლი ჩემს ცოლს ეკუთვნის, მასზე ნოტარიალურად არის გაფორმებული. დეიდამ სოფელში გაყიდა თავისი ქონება და ჩემს მეუღლეს აჩუქა ფული. „ვოლგა" ჩემმა ვაჟმა მოიგო ლატარიის ბილეთით. ბავშვს 25 წელი შეუსრულდა, არსად არ მუშაობს და აბა რაზე გადააყოლოს გული. აგარაკი ქალიშვილისაა. მამიდამ აუშენა საჩუქრად.

— კი მაგრამ, კაცს, რომელიც პატიოსანი შრომით იძენს ქონებას, საბუთები რათ სჭირდება თავის გასამართლებლად? — ვუთხარი აღელვებულმა.

— გულუბრყვილო ყოფილხარ, — მიპასუხა მეზობელმა. — განა ყველას უხარია, რომ ლუკმაპურს ვჭამ? ადგება ვიღაც ინტრიგანი და ფელეტონს დაბეჭდავს ჩემს შესახებ გაზეთში. ჩვენს საზოგადოებას ქურდავს, ჩვენი შრომით ცხოვრობსო. მე ხომ მინდა თავის გასამართლებელი საბუთი. ისე, ხომ აღარ მიჩივით მეზობლებო? რა სჯობს ტკბილად ცხოვრებას, — ამ სიტყვებით დაამთავრა ჩემთან საუბარი და დამცინავი ღიმილით დამშორდა.

ამას წინათ სამსახურიდან დაბრუნებულს უჩვეულო შეხვედრა მომიწყო ჩემმა მეორე ნახევარმა.

— ჩემი ჭკვიანი ბიჭი, ჩემი ცოლშვილის-მოყვარული ვაჟკაცი, რას ვერჩოდი ასეთ პატიოსან კაცს.

— ჩვენ არაფერი არ გვაკლია, ჯენაცვალი (კვლავ შევიდა ჩემი მეუღლის ლექსიკონში ეს საალერსო სიტყვა).

ოღონდ შენ იყავი კარგად და ჩვენ რა გვიჭირს, — შემდეგ ღიაებული ფანჯრიდან მეზობლის სასახლეს გახედა და ჩუმად წარმოთქვა: დაიჭირეს. ქურდი ყოფილა ჩვენი მეზობელი. აღარაფერი მიპასუხნია. მხოლოდ იმას ვფიქრობდი: ვის ჰყავს კიდევ ასეთი მეზობელი, სახალხო დოვლათის გამნიავებელი, ცხოვრების ხორცმეტი.

ნ. შველიძე.

მძღოლის გმირობა

დ ა ბ ა ამბროლაურში რომ მიხვიდეთ და ავტომანქანის საუკეთესო მძღოლი იკითხოთ, ვახტანგ იაშვილს დაგისახელებენ.

— ავტომანქანის „პროფესორია", — გაიგონებთ ერთისაგან.

— პატიოსანი, კეთილშობილი, კაცური კაცია, — იტყვის მეორე.

— შესანიშნავი მეოჯახეა, საკარმიდამო ჩინებულად აქვს მოვლილი, ყველაფერი თავისი ხელით დაამზადა, ათასნაირი ხელობა იცის, ოქროს ხელი აქვსო, რომ იტყვიან, სწორედ ის არის, — ამბობენ მეზობლები.

შეხედულებითაც მოგეწონებათ ვახტანგ იაშვილი. მაღალი, მხარბეჭიანი, წარმოსადეგი ვაჟკაცია.

ორი კვირის წინათ ვახტანგს ისეთი ამბავი შეემთხვა, რომ მთელი რაიონი აალაპარაკა.

ეს ასე მოხდა...

მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირს შარაგზა გასდევს. მსუბუქი ავტომანქანა, რომლის საჭეს ინჟინერი დადაშ ყიფიანი მართავდა, კურორტ შოვისაკენ მიჰქროდა. იქ დადაშის ძმა ისვენებდა და ძმასთან შესახვედრად მიეჩქარებოდა. მძღოლს გვერდით ბიძაშვილი ომარ ყიფიანი ეჯდა. ორივენი შესანიშნავ გუნებაზე იყვნენ, რიონის ხეობის თვალწარმტაცი, მომაჯადოებელი ბუნებით ტკბებოდნენ. და ამან ისე გაიტაცა მძღოლი, რომ ვერც კი შეამჩნია საგლოლოსაკენ გადასახვევი ხიდი და გზა პირდაპირ, სოფელ ღებისაკენ განაგრძო.

ავტომანქანამ რამდენიმე ათეული მეტრი გაირბინა და გაჩერდა. საჭირო იყო უკან დაბრუნება, შოვისაკენ მიმავალ გზაზე დადგომა. ავტომანქანა უკუსვლით ადგილიდან დაიძრა. მოხდა ის, რომ რაც უმეტეს შემთხვევაში უბედურებით მთავრდება. მძღოლმა მანძილი ვერ მოზომა, სწორი მიმართულება დაკარგა, და ავტომანქანა მდინარე რიონში გადაიჩეხა. აზვირთებულმა ტალღებმა თავზე გადაუარა მსხვერპლს და აქაფებულ მორევში ჩაითრია.

ამ უბედურებას თვალი შეასწრო შოვიდან ონში მომავალმა ტაქსომოტორის მძღოლმა ვახტანგ იაშვილმა. მან ავტომანქანა სწრაფად დაამუხრუჭა და შემთხვევის ადგილას მიირბინა. ორი ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ფიქრის დრო აღარ იყო. უშიშარი მძღოლი ტანსაცმლიანად მდინარეში გადაეშვა. ადამიანსა და მდინარეს შორის გაიმართა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ტალღებმა ვ. იაშვილი არაერთხელ მიანარცხეს უზარმაზარ ლოდებს. მაგრამ იგი თავგანწირულად მიიწევდა წინ. აი ვახტანგი ომარ ყიფიანს მისწვდა და ცურვით ნაპირისაკენ წამოიყვანა. ამჯერად კიდევ უფრო გაძნელდა ტალღებთან ბრძოლა. მძვინვარე სტიქია ორივეს დაღუპვას უქადდა. ადამიანის გამძლეობამ, სიმამაცემ, ვაჟკაცობამ და ადამიანისადმი სიყვარულმა სძლია. ვ. იაშვილმა წყალწაღებული დიდი ვაივაგლახით ნაპირზე გამოიყვანა, პირველი დახმარება აღმოუჩინა და ავტომანქანაში ჩასვა.

ტალღებთან ჭიდილში ხანი გამოხდა. დადაშ ყიფიანი, რომელმაც თავის არეში სასიკვდილო ტრავმა მიიღო, მდინარემ თავქვე წაიღო. მკვდარსაც ხომ პატრონობა სჭირდება. გაიფიქრა ვ. იაშვილმა, და ავტომანქანა ადგილს მოსწყდა. ერთი კილომეტრი რომ გაირბინა, მძღოლმა მანქანა გააჩერა, მდინარეში გადაეშვა და გზა გადაუჭრა ადამიანის უსულო გვამს.

ახლომახლო არავინ იყო. გადარჩენილსა და მკვდარს პატრონობა სჭირდებოდა. დასისხლიანებულმა, გაწუწულმა, საშინლად დაქანცულმა მძღოლმა უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა. ომარი გვერდით მოისვა, მიცვალებული კი ავტომანქანის საბარგოში მოათავსა და ონისაკენ გამოექანა. ონის საავადმყოფოში ომარ ყიფიანს საჭირო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და ფეხზე დააყენეს. ვ. იაშვილმა ბოლომდე უპატრონა საბედისწერო შემთხვევის მსხვერპლს და დადაშ ყიფიანის ცხედარი მის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში ჩაიტანა.

ავტომძღოლ ვ. იაშვილის ეს თავგანწირვა გმირობაა, დიახ, ნამდვილი გმირობა, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის ჩადენილი.

ვ. ცირეკიძე.

სპორტი

ბიკოვა—გაფრინდაშვილის მატჩი

15 სექტემბერს მოსკოვში დაიწყება დიდი საჭადრაკო პაექრობა. ნონა გაფრინდაშვილი ჩაებმება მსოფლიოს ჩემპიონ ელისაბედ ბიკოვასთან ორთაბრძოლაში ქალთა შორის უმაღლესი საჭადრაკო ტიტულისათვის.

მეტოქენი გაითამაშებენ 16 პარტიისაგან შემდგარ მატჩს, კვირაში ისინი სამჯერ მოუსხდებიან საჭადრაკო დაფას. გამარჯვებულად აღიარებული იქნება ის, ვინც პირველი შეაგროვებს 8,5 ქულას.

შეჯიბრების მთავარ მსაჯად საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მიერ დანიშნულია ცნობილი მოჭადრაკე ქალი, საერთაშორისო არბიტრი ნინა გრუშკოვა-ბელსკა (ჩეხოსლოვაკია).

ოქროს მედალი კუპერმანს

უფაში დამთავრდა საკავშირო პირველობა ასუჯრიან შაშში. მსოფლიოს ჩემპიონი, კიეველი გროსმაისტერი ი. კუპერმანი ტურნირში უძლიერესი იყო და მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი.

სსრ კავშირის პირველობა

გუშინ ერევანსა და რიგაში გაიმართა საკავშირო პირველობის მორიგი შეხვედრები „ა" კლასის პირველი ქვეჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივებისათვის.

ერევანში თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკი" და როსტოველი არმიელები. შეჯიბრება დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 2 : 1.

რიგაში ერთმანეთს შეხვდნენ დონეცკის „შახტიორისა" და რიგის „დაუგავას" ფეხბურთელთა კოლექტივები. გაიმარჯვეს რიგელებმა ანგარიშით 2 : 0.

დუბლიორთა შეხვედრა

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე გაიმართა თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა სათადარიგო გუნდების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში. მატჩი დამთავრდა ფრედ 1 : 1.

დინამოელთა რიგებში იყვნენ: ლექავა, გუმბერიძე, სახვაძე, ხოჭოლავა, ხელაძე, წუწუნავა (თოფლაშვილი), პეტრიაშვილი, ფიფია, მაისურაძე, ხუნდაძე, ვექუა.

ამ გუნდების ძირითად შემადგენლობათა მატჩი გაიმართება დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე. მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა პირველი წრის შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0.

ი. თ. ჟორდანიას დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

კუბო მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ი. თ. ჟორდანიას ცხედრით დასვენებულ იქნება ი. ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლში.

შესვლა დაიწყება დღეს, 2 სექტემბრის დღის 12 საათიდან. გამოსვენება 2 სექტემბერს დღის 2 საათზე.

დაკრძალვა მოხდება დიდუბის პანთეონში. (საქდესი).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ორშაბათიდან დედაქალაქის ეკრანებზე უჩვენებენ საბავშვო ფილმს „სიმღერა ნაცარა მტრედზე". ფილმი მოგვითხრობს ჩეხოსლოვაკიის ბავშვების ცხოვრებაზე.

ეს საჩუქარი ნორჩ მაყურებელს მოუმზადა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციისა და კინოგაქირავების მთავარმა სამმართველომ.

სურათზე: კადრი ფილმიდან.

რადიო

3 სექტემბერი

პირველი პროგრამით

08.15 — კონცერტი „ჩემი ქვეყნის სიმღერები", 09.20 — გ. სანადირაძის მოთხრობა „ფერი მიწის და ფერი ცის", 12.00 — საუბარი — „მთავარი გზა დიადი მიზნისაკენ", 12.15 — ო. თაქთაქიშვილი. მეორე სიმფონია, — 13.40 — კონცერტი „ჩვენი თვითმოქმედება", 17.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „პავლიკ მოროზოვი", 18.05 — ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლების კონცერტი, 18.45 — „მღერის გეორგ ოტსი", 19.15 — ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან, 19.45 — რადიონარკვევი — „ზღვა მთებში", 20.20 — კონცერტი „სიონის ზღვის" მშენებელთა დაკვეთით, 21.05 — რადიოდადგმა რ. ჯაფარიძის რომანისა „ჯარისკაცის ქვრივი" (ნაწილი მეორე), 22.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

კინო

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი (საზამთრო) — შესანიშნავი შვიდეული, **ამირანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — შვიდი ძმის შვიდი საცოლე, **ამირანი** (საზაფხულო), **ნაკადული, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კომუნარების ბაღი** — შვიდ ქარზე, **ისანი** (საზაფხულო) — გრაფი მონტე კრისტო, **სპარტაკი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი** — ხალხთა სასამართლო, **თბილისი, მზიური** — როკო და მისი ძმები (I-II სერია), **კომკავშირელი** — ამაღამ ქალაქი დაიღუპება, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — ლილი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — სისხლიანი დრო, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — მოწოდება (I-II სერია).

ტელევიზია

2 სექტემბერი

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 12.15 — მხატვრული ფილმი — „ახალი გულივერი". ფილმის შემდეგ რუსული ენის გაკვეთილი, 17.45 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი, 19.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 20.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 20.15 — კინოჟურნალი, 20.25 — საესტრადო კონცერტი „საღამოს მელოდიები".

3 სექტემბერს

18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ჩვენს გულებში ცოცხლობს მარად", 18.40 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.40 — საუბარი — „რძის წარმოების თვითღირებულების შემცირების გზები", 19.55 — კინონარკვევი, 20.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 20.45 — კვირის ამბები რუსულ ენაზე, 21.00 — მხატვრული ფილმი „დედა-ინდოეთი" (I სერია).

უე 01104 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.